# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 28 სექტემბერი 1996 №99 (324) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

B O A V I S T A
F U T E B O L
C L U B E

# ბოავიშტა!

## კინაღამ «სპარტაკი» გამოუშვეს

წინა „სარბიელი“ გახსოვთ? „ტორპედო“ გავაძევეთ, გამოუშვით „სპარტაკიო“, რომ ვწერდით. ჰოდა, კინაღამ მართლა გამოუშვეს: წილისყრის წინა დღეს უეფას მიერ ჩატარებული განთესვისას გაირკვა, რომ ჩვენი „დინამოს“ მეტოქე მეთექვსმეტედფინალში ამ ოთხიდან — პრაღის „სლავია“, პორტუგალიის „ბოავიშტა“, თურქეთის „ბეშიქთაში“ და... მოსკოვის „სპარტაკი“ — ერთი უნდა ყოფილიყო. გუშინ ჟენევაში ჩვენი დროით დღის სამ საათზე წილისყრა რომ დაიწყო, პირველივე ბურთულას... თბილისის „დინამო“ ეწერა. მეორე კი პორტუგალიის ქალაქ პორტუს „ბოავიშტასი“ გამოდგა. ამრიგად გაირკვა, რომ საქართველოს ჩემპიონი მეთექვსმეტედფინალში ჯერ 15 ოქტომბერს თბილისში ეთამაშება „ბოავიშტას“, მერე კი 29 ოქტომბერს პორტუგალიელებს ესტუმრება.

ერთიც იმაზე, რაც გამოშვებას შეეხება. უეფამ კინაღამ „სპარტაკი“ გამოუშვა, ჩვენ კი კინაღამ დღევანდელი ნომერი ვერ გამოვუშვით, თუმცა მაინც კმაყოფილები ვართ: დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, თბილისელი, ფოთელი, ბათუმელი, ჩხოროწყუელი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ქალაქისა და სოფლის მცხოვრები შეგვეხმიანა გუშინ წილისყრის შედეგის გასაგებად. „ალო, ჩხოროწყუა, ერთი წუთით“ — ისმის ყურმილში და მერე — „შედი, ბიჭო, დილიდან რომ მარეკინებ, მეორე კაბინაში“... ამის მერე მეორე კაბინიდან — „უარი არ მითხრათ, შუქი არ გვაქვს და სხვაგან ვერსაიდან გავიგებ, ვინ შეხვდა „დინამოს“... აი, ასე, ათასჯერ და უფრო მეტჯერაც! სიმართლეს ვიტყვით, ამდენ ზარს ნამდვილად არ ველოდით — საღამოს ათი საათისთვისღა თუ შემცირდა (მხოლოდ) რეკვის სიხშირე. ასე რომ, იცოდეთ, დინამოელებო — ამ ჩვენს გაჭირვებულ ყოფაში ზოგი დილიდანვე სოფლის „სალაპარაკოში“ დგას და თქვენი ამბის გაგებას ლამობს. შეიძლება ეს უკანასკნელი გროშებიც კი უჯდება...

## უეფას თასის მეთექვსმეტედფინალი

15 და 29 ოქტომბერი

UEFA CUP

დინამო (თბილისი, საქართველო) — ბოავიშტა (პორტუ, პორტუგალია)
ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) — ბეშიქთაში (სტამბული, თურქეთი)
სლავია (პრაღა, ჩეხეთი) — ვალენსია (ესპანეთი)
ჰამბურგი (გერმანია) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი)
ვიტორია (გიმარაეში, პორტუგალია) — ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია)
რომა (იტალია) — კარლსრუე (გერმანია)
ესპანიოლი (ბარსელონა, ესპანეთი) — ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ქსამაქსი (ნოიშატელი, შვეიცარია)
ბრიუგე (ბელგია) — ნაციონალი (ბუქარესტი, რუმინეთი)
ბორუსია (მიონხენგლადბახი, გერმანია) — მონაკო (საფრანგეთი)
ინტერი (მილანი, იტალია) — კაზინო გ.ა.კ (გრაცი, ავსტრია)
აბერდინი (შოტლანდია) — ბრონდბიუ (დანია)
მეცი (საფრანგეთი) — სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია)
ფერენცვაროში (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი)
შალკე 04 (გელზენკირხენი, გერმანია) — ტრაბზონსფორი (თურქეთი)
ლაციო (რომი, იტალია) — ტენერიფე (ესპანეთი)

## თასების თასის მერვედფინალი

17 და 31 ოქტომბერი

Cup Winners' Cup

სიონი (შვეიცარია) — ლივერპული (ინგლისი)
ოლიმპია (ლუბლიანა, სლოვენია) — აეკ (ათენი, საბერძნეთი)
ბარსელონა (ესპანეთი) — ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია)
გალათასარაი (სტამბული, თურქეთი) — პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი)
ბრანი (ნორვეგია) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
ფიორენტინა (იტალია) — სპარტა (პრაღა, ჩეხეთი)
ნიმი (საფრანგეთი) — აიკ (სტოკჰოლმი, შვედეთი)
ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) — ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი)

### BOAVISTA FUTEBOL CLUBE

დაარსდა 1903 წელს

პორტუგალიის ჩემპიონი არასდროს ყოფილა

პორტუგალიის თასის ოთხგზის (1975, 1976, 1979, 1992) მფლობელი

1995-96 ჩემპიონატში დაიკავა მეოთხე ადგილი — 19 მოგება, 8 ფრე, 7 წაგება. ბურთები 58:28.

მიმდინარე ჩემპიონატში, ოთხი ტურის მერე, გუნდი მეცხრე ადგილზეა: 2 მოგება, 2 წაგება — დაამარცხა „რიო ავე“ (2:0 შინ) და „ბელენენსეში“ (4:2 სტუმრად); წააგო „ესპინიუსთან“ (0:2 შინ) და „ფარენსესთან“ (0:2 სტუმრად).

დღეს „ბოავიშტა“ მეხუთე ტურის შეხვედრას ატარებს ფუნშალში „მარიტიმუსთან“. ამის გარდა, სექტემბრის ბოლომდე გუნდი კიდევ სამ თამაშს გამართავს: 11 ოქტომბერს შინ „ლეცასთან“, 19 ოქტომბერს თანაქალაქელ „პორტუსთან“ და 25 ოქტომბერს შინ „გიმარაეშთან“.

უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში „ბოავიშტა“ პირდაპირ ოცდამეთორმეტედფინალიდან ჩაება. დანიის „ოდენსე“ სტუმრად 3:2 დაამარცხა, და თუმცა შინ 1:2 დამარცხდა, სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით შემდეგ ეტაპზე გავიდა. ისე, მთლად შინ „ბოავიშტას“ არ უთამაშია, ვინაიდან საკუთარი სტადიონი პორტუში დისკვალიფიცირებული აქვს და ამიტომ „ოდენსეს“ ლისაბონში უმასპინძლა.

### „ბოავიშტა“ ევროთასებზე

| | | |
|---|---|---|
| 1975-76 | თთ | სპარტაკი (ტრნავა, ჩეხოსლოვაკია) — ბოავიშტა 0:0, 0:3 |
| | | ბოავიშტა — სელტიკი (შოტლანდია) 0:0, 1:3 |
| 1976-77 | თთ | გალაცი (რუმინეთი) — ბოავიშტა 2:3, 0:2 |
| | | ბოავიშტა — ლევსკი-სპარტაკი (ბულგარეთი) 3:1, 0:2 |
| 1977-78 | უთ | ბოავიშტა — ლაციო (იტალია) 1:0, 0:5 |
| 1979-80 | თთ | შლემა უონდერერზი (მალტა) — ბოავიშტა 2:1, 0:8 |
| | | დინამო (მოსკოვი, სსრკ) — ბოავიშტა 0:0, 1:1 |
| 1980-81 | უთ | ვაშაში (უნგრეთი) — ბოავიშტა 0:2, 1:0 |
| | | სოშო (საფრანგეთი) — ბოავიშტა 2:2, 1:0 |
| 1981-82 | უთ | ბოავიშტა — ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი) 4:1, 1:3 |
| | | ვალენსია (ესპანეთი) — ბოავიშტა 2:0, 0:1 |
| 1985-86 | უთ | ბოავიშტა — ბრიუგე (ბელგია) 4:3, 1:3 |
| 1986-87 | უთ | ფიორენტინა (იტალია) — ბოავიშტა 1:0, 0:1 პ 1:3 |
| | | რეინჯერსი (შოტლანდია) — ბოავიშტა 2:1, 1:0 |
| 1989-90 | უთ | კარლ-მარქს-შტადტი (გდრ) — ბოავიშტა 1:0, 2:2 (დ.დ.) |
| 1991-92 | უთ | ბოავიშტა — ინტერი (იტალია) 2:1, 0:0 |
| | | ტორინო (იტალია) — ბოავიშტა 2:0, 0:0 |
| 1992-93 | თთ | ვალიური (ისლანდია) — ბოავიშტა 0:0, 0:3 |
| | | პარმა (იტალია) — ბოავიშტა 0:0, 2:0 |
| 1993-94 | უთ | უნიონი (ლუქსემბურგი) — ბოავიშტა 0:1, 0:4 |
| | | ლაციო (იტალია) — ბოავიშტა 1:0, 0:2 |
| | | ოფი კრეტა (საბერძნეთი) — ბოავიშტა 1:4, 0:2 |
| | | ბოავიშტა — კარლსრუე (გერმანია) 1:1, 0:1 |
| 1994-95 | უთ | ბოავიშტა — მიუპა (ფინეთი) 2:1, 1:1 |
| | | ბოავიშტა — ნაპოლი (იტალია) 1:1, 1:2 |
| 1996-97 | უთ | ოდენსე (დანია) — ბოავიშტა 2:3, 2:1 |
| | | დინამო (თბილისი, საქართველო) — ბოავიშტა ? |

## მერაბ ჟორდანია: „სპარტაკი“ გვერჩივნა

ჟენევაში რომ კენჭისყრა მიმდინარეობდა, თქვენი მონა-მორჩილი „დინამოს“ ოფისში იმყოფებოდა. „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტს რომან შოთაძეს აჩემებინა, „ბოავიშტა“ მინდა შეგვხვდეს და, გენიძლავებით, სწორედ ასე იქნებაო. შოთაძე გამონაკლისი გახლდათ, „დინამოს“ ოფისში მყოფთ ყველას „სპარტაკი“ უნდოდა მეტოქედ, თითო-ოროლას — „ბეშიქთაში“. უშუქობის გამო ჩვენი მეტოქის ვინაობა რამდენიმე წუთის დაგვიანებით შევიტყვეთ. მალე კი მერაბ ჟორდანიამაც დარეკა ჟენევიდან.

**— მერაბ, ვინ გერჩივნათ მეტოქედ?**

— მე „სპარტაკი“ მერჩივნა, ყოველმხრივ.

**— წილისყრაზე რა ამბები დატრიალდა?**

— სამწუხაროდ, ოდნავ შემაგვიანდა და კენჭისყრაზე რომ შევედი, ჩვენი წილი უკვე ნაყარი იყო.

**— რას იტყვით მეტოქეზე?**

— ჯერჯერობით არაფერი ვიცი, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, უნდა ვძლიოთ და შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. ისე, ჩვენს კალათაში ყველა თითქმის თანაბარი ძალის გუნდი იყო.

**— „ბოავიშტას“ წარმომადგენლებს თუ შეხვდით?**

— ეს წუთია, ველაპარაკე. როდის აპირებენ ჩამოსვლას და სხვა ჩვენთვის საინტერესო დეტალები ჯერჯერობით ვერ მითხრეს. ჩემი კოორდინატები მივეცი და უახლოეს დღეებში დამირეკავენ.

**— „ბოავიშტას“ უახლოესი თამაში 12 ოქტომბერს გაიმართება. ხომ არ აპირებთ ვინმეს გაგზავნას ამ მატჩზე?**

— თუ ყიფიანი მოინდომებს, უეჭველად უნდა გავაგზავნოთ. ახლა ამ ეტაპზე ყველა წვრილმანს აქვს მნიშვნელობა.

კახი გოგიჩაიშვილი შეფიქრიანებული მეჩვენა, მაგრამ ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ ჰგონებია, იტალიის „პარმა“ სწორედ „ბოავიშტამ“ გააგდოო. ეს რა სერიოზულ მეტოქეს გადავყრილვართო, ამას ჩაეფიქრებინა თურმე. ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, ყველა მეტოქე სერიოზულია, მაგრამ იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ „ოდენსე“ 2:0-ს შინ უგებდა „ბოავიშტას“ და მერე სამი გოლი გაუშვა, პორტუგალიაში კი სულაც 2:1 მოუგო მასპინძლებს, მე კი წელს „ოდენსე“ არაერთხელ მყავს საქმეში ნანახი და ვიცი რასაც წარმოადგენს, უნდა ვივარაუდო, რომ „ოდენსესთან“ ორ თამაშში ოთხი გოლის გამშვებს ხეირიანი დაცვა არ უნდა ჰყავდეს. ამ არგუმენტების შემდეგ კახი გაიბადრა:

— არა, „პარმის“ დამმარცხებლის კი არ შემშინებია, უბრალოდ, ვიფიქრე, ამ ოთხეულიდან რაღა ყველაზე ძლიერი შეგვხვდა-მეთქი.

**— შენ ვინ გერჩივნა მეტოქედ?**

— მოსკოვის „სპარტაკი“.

**— რატომ?**

— „ტორპედოზე“ ამბობდნენ, სუსტი გუნდიაო. „სპარტაკი“ ხომ ძლიერია და მინდოდა ისიც დაგვემარცხებინა.

**— პროგნოზი?**

— 50-50-ზე. მაინც ამას ვიტყოდი, ვინც არ უნდა შეგვხვედროდა.

**— პირველი მატჩი თბილისში კარგია თუ ცუდი?**

— კარგია. ექვსი თამაში წაუგებლად ვითამაშეთ და ფსიქოლოგიურად ჩინებულად შევხვდებით ამ თამაშს.

**— პორტუგალიელებთან თუ გითამაშია ოდესმე?**

— მხოლოდ მინი-ფეხბურთი. ისიც დიდი ხნის წინ გერმანიაში.

**— გული საგულეს რომ გვქონდეს, თბილისში რა ანგარიშით უნდა მოვიგოთ?**

— 2:0-ზე ყაბულსა ვარ.

მამუკა კვარაცხელია

## დავით ყიფიანი: მოვიდნენ, დავხვდებით

გუშინ, წილისყრის შედეგების შეტყობისთანავე, დიღმის საწვრთნელ ბაზას მივაშურეთ. დღეს „დინამოს“ ბოლნისში „სიონთან“ აქვს სათამაშო, ფეხბურთელებიც გუშინდელი დილის ვარჯიშის მერე შინ გაუშვეს დასასვენებლად, ასე რომ, დიღომში მისულებს იქ მხოლოდ დინამოელთა მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი დაგვიხვდა. მასაც ის წუთები იყო შეეტყო უეფას თასზე „დინამოს“ ახალი მეტოქის ვინაობა. ყიფიანი უმალ კი შესდგომოდა ამ დროისთვის აუცილებელ საქმეს — ინფორმაციის მოძიებას, მაგრამ ჯერ, ცხადია, ბევრი ვერაფერი იცოდა...

— ჩვენს სავარაუდო მეტოქეთაგან „ბოავიშტა“ ერთადერთია, რომლის შესახებაც თითქმის არაფერი ვიცით. „ბეშიქთაში“, „სპარტაკი“ ანაც ჩეხების „სლავია“ რომ შეგვხვედროდა, მათზე ბევრი რამე ახლავე გვეცოდინებოდა. აი, პორტუგალიაზე კი ცოტა უკაცრავად ვართ, მაგრამ ეს მხოლოდ ჯერჯერობით — 15 ოქტომბრამდე ამ ინფორმაციულ დეფიციტს შევივსებთ. ამის იმედი მაქვს.

**— იდრე თუ შეხვედრიხართ პორტუგალიელებს და, საერთოდ, რას გვეტყვით მათ სათამაშო სტილზე?**

— პორტუგალიელებს ჩვენი „დინამო“ ერთადერთხელ შეხვედრია. 1973 წელს ესპანეთში, ქალაქ უელვაში ოთხთა ტურნირზე „ბენფიკას“ ვძლიეთ, მერე კი მთავარი ჯილდო — კარაველაც მოვიპოვეთ. ამის შემდეგ მათ აღარსად გადავყრილვართ. მას შემდეგ რამდენი რამ მოხდა, როგორ შეიცვალა და განვითარდა ფეხბურთი, თავად მოგეხსენებათ. ნაუცბათევად რაც შემიძლია გითხრათ, ესაა — პორტუგალიელები ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, ფიზიკურადაც სოლიდურად გამოიყურებიან. შინ განსაკუთრებული ალმაფრენით თამაშობენ, რაც მათი გულშემატკივრების ფანატიკური მხარდაჭერის წყალობაც გახლავთ.

**— პირველად მასპინძელი „დინამოა“. კარგია ეს თუ პირიქით სჯობდა?**

— ისეთ სიტუაციაში, ჩვენ რომ ვიმყოფებით, პირველად შინ თამაში გვიჯობს — უკეთ გავიცნობთ მეტოქეს. საპასუხო თამაშისთვის კი ვნახოთ, დასამალ-დასაფარი იქნებ აღარაფერი იყოს.

**— წილისყრის შემდეგ ხომ არ გიფიქრიათ, უკეთესი ვარიანტებიც იყოო?**

— ერთხელ უკვე ვთქვი საჯაროდ — უეფას თასს სუსტი გუნდი, ფაქტიურად, აღარ შემორჩა-მეთქი. გულხელდაკრეფილს და უდარდელს ვინ რას დაგითმობს. ბრძოლა და გაჯიბრება ყველასთან შეიძლება. მობრძანდნენ ეს პორტუგალიელებიც, ვნახოთ, რა ბიჭები არიან, დავხვდებით და ვეთამაშებით. 9 ოქტომბერს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები იტალიაში თამაშობენ. „დინამოდან“ 15 ფეხბურთელია მიწვეული. ესაც გვარგებს მომზადებისთვის, ოღონდ ტრავმები არ იყოს. გვახარებს და გვაიმედებს ის, რომ „ტორპედოსთან“ მიღებული ტრავმების მერე საგრძნობლად გამოკეთდნენ ჯამარაული და კუდინოვი. მოკლედ, „ბოავიშტასთან“ შესახვედრად დღეიდანვე ვიწყებთ მზადებას.

მამუკა კვანტალიანი

## აშვეთია „დინამოს“ აქებს

შევიტყვე თუ არა „დინამოს“ მეტოქის ვინაობა, მაშინვე მოვინახულე მიხეილ აშვეთია. კენჭისყრის შედეგმა ქუთაისელთა ფორვარდი, რომელიც აპრილში ამ გუნდში გასასინჯად იმყოფებოდა, ძალზედ გაახარა:

— „დინამოს“ არ უნდა გაუჭირდეს „ბოავიშტას“ დამლევა. ჩემი ფიქრით შანსები 50-50-ზეა. მიხარია, რომ ჩემს ძველ ნაცნობებს თბილისში ვნახავ.

**— კონკრეტულს რას გვეტყვი „ბოავიშტაზე“?**

— გუნდის წამყვანი ფეხბურთელები ბრაზილიელი არტური, რომელიც საყრდენ ნახევარმცველად თამაშობს და იუგოსლავიელი უკანა მცველია, რომლის გვარს ვერ ვიხსენებ. ვიცი, რომ მან პორტუგალიის მოქალაქეობა მიიღო და ამ ქვეყნის ნაკრებშიც მიიწვიეს. ამათ გარდა კიდევ ერთი ცნობილი მოთამაშე, მცველი ბობო ჰყავთ. გუნდშია ტავარეში და ბოლივიელი ერვინ „პლატინი“ სანჩესი, რომელსაც ჩემი იქ ყოფნის დროს დოპინგ-კონტროლზე ჩავარდნის გამო დისკვალიფიკაცია ჰქონდა.

**— როგორი გუნდია „ბოავიშტა“?**

— საკმაოდ ტექნიკური, თუმცა ვარჯიშებზე არც უხეშობას ერიდებოდნენ.

სოსო ბარქაია

## ეინდჰოვენი 3:0 ბათუმი

ეინდჰოვენი. სტადიონი „ფილიპსი“.
26 სექტემბერი

1 ვატერეუსი
3 სტამი
2 ვამპეტა — 5 ნუმანი
4 ვალქსი
6 იონკი
7 ფინჯი — 8 დეგრიზი — 9 კოკუ
10 ნილისი — 11 აიკელკამპი

10 უჯმაჯურიძე
11 მუჯირი — 9 ტულუში — 8 მაჭუტაძე
6 თორლაშვილი
4 ჭიჭველაშვილი — 5 შეყილაძე
3 მინდაძე — 2 სიჭინავა
7 მ. მახარაძე
1 ტოგონიძე

შეცვლა: დეგრიზი — ზენდენი (46), სიჭინავა — შანიძე (54), ნილისი — მარსელო (66), აიკელკამპი — პეტროვიჩი (81)
1:0 ნილისი (15 პ), 2:0 აიკელკამპი (53), 3:0 მარსელო (86)
გაფრთხილება: მუჯირი, მ. მახარაძე, აიკელკამპი
მსაჯი: მ. დუგალი (შოტლანდია)

# ეინდჰოვენშიც ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა

შარშან ამ დროს „ბათუმი“ გლაზგოში 0:4 დამარცხდა. ამჯერად შედეგი შედარებით გაუმჯობესდა და ხუთშაბათს ჩვენი თასის ფინალისტმა ჰოლანდიის „ეინდჰოვენთან“ 0:3 წააგო. ცოტა რომ გამართლებოდა, შეიძლება ნაკლებიც ყოფილიყო.

სასწაულების გვჯერა. იმედიც გვაქვს ხოლმე. ამის დასტურია ჩვენი რედაქციის ტელეფონის გუშინდელი განუწყვეტელი ზარი: რა ჰქნა „ბათუმმა“? ეეჰ!

დაჩვეულნი ვართ, რომ ჩვენი გუნდების საგარეო თამაშების ნახვა აუხდენელი ოცნებაა. შარშან გლაზგოდან რადიორეპორტაჟი მაინც იყო. ამჯერად ვერც ამას ველირსეთ. მაგრამ, მოულოდნელად, „ევროსპორტმა“ გაგვახარა და ხუთშაბათის ღამის (ანუ პარასკევის დილის) ორ საათზე ამ თამაშის საინტერესო მომენტების ნახევარსაათიანი ჩანაწერი გვიჩვენა.

–ლუკ ნილისმა ბათუმის მატჩის შემდეგ მეორე ტრავმის გამო ორი კვირა არ ითამაშა, გუშინწინ კი კვლავ წარდგა „ბათუმის“ წინააღმდეგ და კვლავ პენალტი შეაგდო. ასე გაიხსნა ანგარიში მე-15 წუთზე. არადა, წამებით ადრე ქართველებმა პირველად შეუტიეს იხე, სახიფათო რომ ეთქმოდა, მაგრამ ბურთი იოლად დაკარგეს. მასპინძლებმა უცებვე გვიპასუხეს, ნილისი მარცხნიდან საჯარიმოში შევიდა, სიჭინავა მოატყუა და ამან დასცა. პენალტი აშკარა იყო. ბელგიელმა თვითონვე შეასრულა თერთმეტმეტრიანი — ტოგონიძე მარცხნივ გადახტა, ბურთი მარჯვნივ შევარდა. ამის მერე, ტაიმის ბოლომდე, „ეინდჰოვენის“ გამუდმებული შეტევების მიუხედავად, ტოგონიძის კართან მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა და შესვენებაზე ჩვენი გუნდი ისე წავიდა, სამ ტაიმში თამაშიდან გოლი არ ჰქონდა გაშვებული. ისე, „ბათუმმა“ ორჯერ ააფორიაქა კიდეც ადგილობრივი გულშემატკივრები: ერთხელ 30-ე წუთზე, როცა როსტომ თორლაშვილის ოცდახუთიოდე მეტრიდან დარტყმული ბურთი გზად სტენ ვალქსს მოხვდა და ნახევარი მეტრით მარჯვნივ რომ წასულიყო, მოპირდაპირე კუთხეში გადამხტარი ვატერეუსი უძლური იქნებოდა. მეორე მომენტი კი ტაიმის მიწურულს იყო — ვალქსმა ტულუში წააქცია, საჯარიმო ჩვენებმა კარგად გაითამაშეს და მეკარესთან ეულად დარჩენილ ტულუშს ვატერეუსმა წამით დაასწრო... „ფილიპსის“ სტადიონზე შეკრებილთ თავიანთი გუნდი შესვენებაზე სტვენით გააცილეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ბათუმს“ ჰქონდა გათანაბრების მცირედი შანსი 56-ე წუთზე ახალშემოსულმა შანიძემ საჯარიმოს მისადგომებთან თორლაშვილს მიაწოდა და მანაც შორიდანვე დაჰკრა, მაგრამ ააცილა. ამ ეპიზოდს ჰოლანდიელთა წარმატებული შეტევა მოჰყვა: 57-ე წუთზე აიკელკამპმა შეყილაძის მიერ მოგერიებულ ბურთზე შემოტრიალებით დაარტყა და ადრე ჩაწოლილ ტოგონიძეს ხელების წინ დავარდნილი ბურთი თავზე გადაახტა — 2:0.

მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე „ეინდჰოვენმა“ ნილისი ბრაზილიელი მარსელოთი შეცვალა და მატჩის ბოლოს ამან გოლიც გაახერხა. ეს ბურთი ერთი შეხედვით საეჭვო ვითარებაში გავიდა, რადგან კარის ხაზს შიგნით არ დავარდნილა. მანამდე მარსელოს ერთი შეტევაც იყო. მან პეტროვიჩის ჩაწოდებისთვის სასურველი მიმართულების მიცემა სცადა, მაგრამ ტოგონიძე და ჭიჭველაშვილი წინ აღუდგნენ და დარტყმა კარს ასცდა. ამ მომენტიდან სამ წუთში იყო ის გაურკვევლობა, რომელიც მესამე და საბოლოო გოლს მოჰყვა: იონკის მიერ მოწოდებულ კუთხურს ბრაზილიელმა მკერდი შეუშვირა და კარში თავად შევარდა, ბურთი კი უკან მოიტოვა. ტოგონიძემ ხელით ხაზის წინ დაიგდო ბურთი და მერე დაეუფლა, მაგრამ მსაჯმა გოლი ჩათვალა და, როგორც განმეორებითი ვიდეოჩანაწერიდან ჩანდა, სამართლიანადაც.

საბოლოოდ, „ბათუმი“ დიდი ანგარიშით დამარცხდა ჰოლანდიის „ეინდჰოვენთან“. ეს ქართული კლუბების მეოთხე მარცხია დიდი ანგარიშით. მათგან ორი წელს წააგეს „ბათუმმა“ და „მარგვეთმა“, ორი კი შარშანწინ და შარშან — „დინამომ“ „ტიროლთან“, „ბათუმმა“ კი — „სელტიკთან“. ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს კლუბებმა წელს სამჯერ გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით და ეს ორჯერ „ჰაფნართან“ სწორედ „ბათუმმა“ შეძლო.

**ბიბა კობახიძე**



ნილისი და ფინჯი აწი ბანქოს თამაშს მეტ დროს დაუთმობენ

# წითელი ვარსკვლავის ძალა

თასის მფლობელმა „პარი სენ-ჟერმენმა“ მეთექვსმეტედფინალი იოლად განვლო. პარიზელთა მეტოქე ლიხტენშტაინის „ვადუცი“ ორი კვირის წინ, შინ 0:4 დამარცხდა და საპასუხო შეხვედრაში ერთადერთ ამოცანად მეტად არწაგება ჰქონდა დასახული. სტუმრებმა მიზანს მიაღწიეს, მხოლოდ 0:3 წააგეს. საფრანგეთის პირველობის ლიდერმა კი რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მათ რიცხვში ბრაზილიელი ლეონარდო დაასვენა.

ანგრიში 22-ე წუთზე, პირველ მატჩში შეცვლაზე შესულმა მეოთხე გოლის ავტორმა ბერნარ ალუმ გახსნა. ასისტენტობა მას ჟერომ ლერომ გაუწია. ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე საფრანგეთის ნაკრების წევრმა ალენ როშმა ვინსენ გერენის პასი თაურით შეაგდო, მეორე ნახევრის მესამე წუთზე კი კამერუნელმა პატრიკ მბომამ მესამეც დაამატა. ამგვარად, რაც სეზონი დაიწყო, საფრანგეთის ჩემპიონატსა და თასების თასზე, „პარი სენ-ჟერმენს“ 10 შეხვედრაში გოლი არ გაუშვია.

მოგეხსენებათ, ფრანგებს ამ შეჯიბრებაში კიდევ ერთი გუნდი, მესამე დივიზიონელი „ნიმიც“ გამოჰყავთ. „ნიმმა“ ქვეყნის თასის ბოლო გათამაშებაში ფინალს მიაღწია, იქ, ჩემპიონ „ოსერთან“ წააგო და ასე მიიღო ევროშეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება. ფრანგთა მეტოქე უნგრეთის ცამეტგზის ჩემპიონი, ოდესღაც მრისხანე „ჰონვედი“ იყო. ბუდაპეშტში, საპასუხო მატჩში, სტუმრებმა, ბევრისთვის მოულოდნელად, 2:1 მოიგეს და ჯამური 5:2-ით შემდეგ ეტაპზე გავიდნენ. პირველი გოლი მე-7 წუთზევე გავიდა, როდესაც „ნიმის“ კაპიტანმა ანტუან დი ფრაიამ კუთხური ჩააწოდა, მცველმა ონი ეკერმა კი თაურით მიზანს მიაღწია. „ჰონვედი“ ბუნებრივია მეტოქის კარს მიაწყდა, ჩასულებმა კი სახიფათო კონტრშეტევები გამართეს და 38-ზე იმავე დი ფრაიას პასით ერიკ საბინმა ანგრიში ორამდე გაზარდა. უნგრელებმა ერთადერთი საპასუხო 61-ე წუთზე შეაგდეს. ატილა პიროჩკამ ორი მეტოქე გაცურა და დაბალი დარტყმით ბურთი ბადეში გახვია.

შეხვედრის შემდეგ უნგრული ფეხბურთის გმირმა და ლეგენდამ ფერენც პუშკაშმა საფრანგეთის ტელევიზიას უთხრა:

— ასეთი რამეები ისეთ მატჩებში ხდება, წინასწარ რომ გაქვს წაგებული, არადა მოგება გსურს. ჩვენებმა ცუდად ითამაშეს. ოდესღაც უნგრელი ფეხბურთელები ტექნიკის ღმერთები იყვნენ. რაც შეეხება „ნიმს“, ამ გუნდს რაღაცის მიღწევა შეუძლია.

ათენის აეკმა სლოვაკეთის ქალაქ ჰუმენეში „ჰემლონი“ სძლია 2:1. პირველ შეხვედრაში ბერძნებს 1:0 ჰქონდა მოგებული. საპასუხოში, სლოვაკებმა მე-19 წამზე გახსნეს ანგარიში. გოლი პაველ დივამ შეაგდო. მე-11 წუთზე აეკმა პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვა, მაგრამ საქართველოს ნაკრების ვარსკვლავმა თემურ ქეცბაიამ ვერ გაიტანა. სტუმრები ვერგატანილ პენალტს არ შეუშინდნენ და რვა წუთში დემის ნიკოლაიდისმა გაქვითა, ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე კი დანიელ ბატისტა ლიმამ გამარჯვებისა შეაგდო. მეორე ტაიმი უგოლო გამოდგა.

ლივერპულში ჩეხი პატრიკ ბერგერის, სტენ კოლიმორის და ჯონ ბარნსის გოლებს ფინურმა „მიუპამ“ მხოლოდ მაური კესკიტალოს ზუსტი დარტყმით უპასუხა, 1:3 წააგო, რამაც ორი შეხვედრის ჯამში 1:4 შეადგინა და გათამაშებას გამოეთიშა. „ენფილდ როუდზე“ თამაშს, რომელმაც ინგლისელები ერთობ კმაყოფილი დასტოვა, 39 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. ბერგერი, მე-18 წუთზე რომ გახსნა ანგარიში, „ლივერპულს“ იღბლიანად შეუერთდა. ეს გოლი სამნახევარ მატჩში მისი მეშვიდე იყო. მეორე გოლის ავტორი სტენ კოლიმორი რობი ფაულერის მუხლის ტრავმამ მოახვედრა შემადგენლობაში და მანაც თავი არ შეირცხვინა. მისი გოლი 59-ზე გავიდა. 64-ზე ფინელებმა იძალეს, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე ჯონ ბარნსმა წერტილი დასვა.

**ბიბა კობახიძე**



ლივერპულელ პატრიკ ბერგერს მიუპას კარში პირველი გოლი გააქვს

# ნუ ჩახვალთ თბილისში მარსიდან

ამბობენ, რომ ქართველი მხოლოდ ორ შემთხვევაში ჰკარგავს თავს: როცა საჭეს მიუჯდება და როცა ფეხბურთს თამაშობს... ამიტომ, „დინამოს“ პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას რომ ვკითხეთ, თბილისელები, პირველი მატჩის შედეგის გათვალისწინებით, ალბათ, დაცვით ფეხბურთს ითამაშებენო, მან, როგორც მარსიდან ჩამოსულებს, ისე შემოგვხედა და გვითხრა: „არასოდეს! „დინამო“ შეუტევს!“

ტორპედოელებსაც ეს უნდოდათ... მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ მოახერხეს — კამნევის თაური ზოიძეს ხელში მოუვიდა. პირველი ტაიმის დანარჩენ დროს სტადიონი მოწყენილი იყო.

მეორე ტაიმმა კი ყველა გამოაცოცხლა.

ჯამარაულმა 30 მეტრიდან ისეთი ძალით დაარტყა, რომ ბურთი „ცხრიანში“ გაიჭედა.

ჯამარაული, ორი შესანიშნავი გოლის ავტორი, მოსკოვ-თბილისური ორრაუნდიანი შეხვედრის გმირად იქცა... მაგრამ სიხარული არ დასცალდა — მახმუტოვმა სასტიკ ვარდნაში კინაღამ მოაგლიჯა ფეხი. ჯამარაულმა ძლივს მიაღწია სათადარიგოთა სკამამდე.

მის არყოფნაში ტორპედოელებს გოგიჩაიშვილისგან არ ჰქონდათ მოსვენება. ერთხელ მან სამი მოსკოველი „დაატრიალა“ და კარგადაც დაარტყა, მაგრამ ააცილა.

83-ე წუთზე ვოსტროსაბლინმა ჯარიმიდან ძლიერად, მაგრამ პირდაპირ მეკარისკენ დაარტყა. ზოიძემ არც თუ ისე ძნელი ბურთი გაუშვა.

„ტორპედოს“ შვიდი წუთი რჩებოდა ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში ზოიძის კარს არც კი მიახლოვებია. ხოლო თბილისელებს კიდევ შეეძლოთ გატანა. გოგიჩაიშვილის სლალომის შემდეგ პჩელნიკოვმა და მცველებმა სასწაულით გადაარჩინეს კარი დემეტრაძის დარტყმისაგან... თბილისელებმა გულისდაწყვეტაც ვერ მოასწრეს, გაისმა ფინალური სასტვენი და მთელ სტადიონზე ათასი პატარა ჩირაღდანი აინთო. ასე იზეიმა თბილისმა „დინამოს“ გასვლა უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში.

ალექსანდრ კრუჟკოვი
„სპორტ-ექსპრესი“, 25 სექტემბერი

## რუსული პრესა „დინამო“ — „ტორპედოს“ მატჩზე

ეს მატჩი მშვენიერი სანახაობა იყო. ტრიბუნებზე 65 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი, რაც თითქმის ანშლაგია. შეხვედრას ესწრებოდა მთელი ბომონდი ედუარდ შევარდნაძის თავკაცობით, რომელიც წინა დღეს დინამოელებს ბაზაზე ეწვია და ფეხბურთელებისგან ბურთი და სპორტული ტანსაცმელი მიიღო საჩუქრად.

ამდენი მაყურებლის წინაშე, რამაც საბჭოთა ჩემპიონატების დრო მოგვაგონა, ახალგაზრდა თბილისელებს (შემადგენლობის ნახევარი 20 წლისაც არ არის) ჯერ არ უთამაშიათ. დასაწყისში ქართველმა ფეხბურთელებმა ვერაფრით ააწყეს კომბინაციური თამაში. ამაში დამნაშავენი მოსკოველები იყვნენ. ისინი მობილიზებულნი გამოვიდნენ მოედანზე — შედარებაც არ შეიძლებოდა იმ გუნდთან, მოსკოვში რომ ითამაშა ორი კვირის წინ. ტორპედოელებს ერთი გოლი უნდა გაექვითათ, ამას გარდა, თბილისში ჭორიც გავრცელდა, სტუმრებს მოგებისთვის 20 ათას დოლარს ჰპირდებიანო.

თამაშის შემდეგ ვალენტინ ივანოვმა „სევოდნიას“ კორესპონდენტს უთხრა, რომ შეიტყო ასეთი ჭორის შესახებ, მაგრამ ეს ტყუილიაო. პრემიები ისეთივე იყო დაწესებული, როგორიც რუსეთის ჩემპიონატში გამარჯვებისთვის. მოგვიანებით დავით ყიფიანმა თქვა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, „მოსკოვში აჟიოტაჟი ატყდა დამარცხების შემდეგ და ტორპედოელებს ზღაპრულ ჰონორარებს მაინც შეჰპირდნენ“...

პირველ ტაიმში მოსკოველები უფრო აქტიურობდნენ, განსაკუთრებით კამნევი და კამოლცევი. მთელი მატჩი ყიფიანი ფეხზე იდგა. მსაჯები სთხოვდნენ, დამჯდარიყო, მაგრამ იგი ნერვიულობდა და სურათი მეორდებოდა. ყიფიანმა აღიარა, რომ თავს იკატუნებდა, ვითომ არც ინგლისური იცოდა და არც ის, რა უნდოდათ. მსაჯებს, თვითონ კი ქართულად აგინებდა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა თბილისელთაგან საუკეთესო ჯამარაულმა შორიდან ზუსტად დაარტყა. გოლი! მაგრამ მოსკოველები არ დანებდნენ. ვოსტროსაბლინმა ანგარიში გაათანაბრა. დარჩა შვიდი წუთი. ინიციატივა სტუმრებისაა. მაგრამ მეტი ველარ შეძლეს. ორივე მწვრთნელმა აღიარა, რომ მატჩის შედეგი ლოგიკური იყო. ივანოვმა თქვა, რომ თავისი გუნდისთვის ინატრებდა ჯამარაულს და გოგიჩაიშვილს. სტუმრების მწვრთნელმა კრიტიკულად შეაფასა ნახევარმცველებისა და თავდამსხმელების თამაში, რომლებიც ცუდად იხსნებოდნენ. ყიფიანმა აღნიშნა, რომ შედეგით კმაყოფილია, თამაშით კი არა... მისი სიტყვებით, გამორიცხული არ არის, რომ გაისად საქართველო ჩემპიონთა ლიგაში მოხვდეს. „ჩემი თაობისგან განსხვავებით — თქვა დინამოელთა მწვრთნელმა — ახალ თაობას მოსკოვის სტადიონების კომპლექსი არა აქვს, სხვა ფსიქოლოგიური განწყობა აქვთ“. მაგრამ ყიფიანი რეალისტია. ამ გათამაშებაში „დინამოს“ დიდი გამარჯვების მოპოვება, ალბათ, არ შეუძლია.

მიხაილ ვიგნანსკი
გაზეთი „სევოდნია“. 26 სექტემბერი

## თასების თასის მეთექვსმეტედფინალი

26 სექტემბერი

Cup Winners' Cup

ჰონვედი (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — ნიმი (საფრანგეთი) 1:2 (1:3)
სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) — შტურმი (გრაცი, ავსტრია) 1:1 (2:2)
გალათასარაი (სტამბული, თურქეთი) — კონსტრუქტორული (კიშინიოვი, მოლდოვა) 4:0 (1:0)
ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 4:0 (0:1)
ლივერპული (ინგლისი) — მიუპა 47 (ანიალენკოსკი, ფინეთი) 3:1 (1:0)
ნივა (ვინიცა, უკრაინა) — სიონი (შვეიცარია) 0:4 (0:2)
ოლიმპია (ლუბლიანა, სლოვენია) — ორჰუსი (დანია) 0:0 (1:1)
ბრანი (მინდე, ნორვეგია) — სერკლ ბრიუგე (ბელგია) 4:0 (2:3)
ვარტექსი (ვარაჟდინი, ხორვატია) — ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) 2:1 (0:1)
ა.ი.კ. (სტოკჰოლმი, შვედეთი) — რეიკიავიკი (ისლანდია) 1:1 (1:0)
ა.ე.კ. (ლარნაკა, კვიპროსი) — ბარსელონა (ესპანეთი) 0:0 (0:2)
რუხი (ხოჟუვი, პოლონეთი) — ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) 0:0 (1:5)
ჰემლონი (ჰუმენი, სლოვაკეთი) — ა.ე.კ. (ათენი, საბერძნეთი) 1:2 (0:1)
ფიორენტინა (ფლორენცია, იტალია) — გლორია (ბისტრიცა, რუმინეთი) 1:0 (1:1)
პ.ს.ვ. (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) — დინამო (ბათუმი, საქართველო) 3:0 (1:1)
პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი) — ვადუცი (ლიხტენშტეინი) 3:0 (4:0)

**ITALIA vs GEORGIA**
**პერუჯა, 9 ოქტომბერი**

# საქმე ფუჭად არ გვნახა

9 ოქტომბრამდე, ანუ იტალია — საქართველომდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დაგვირჩა.

ამ თამაშზე ბჭობა-კამათი ჩვენში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფთა დასადგენი წილისყრისთანავე აგორდა: ჩვენი ბედი რა ვთქვით, ხუთგუნდიან ჯგუფში იტალია და ინგლისი ერთად გვერგო; ბოლოს ბოლო, არც პოლონეთია ჩვენთვის ხელწამოსაკრავი; მოლდოვასთან ძველი ანგარიშები გვაქვს; ნეტა რა იქნება, იქ რომ იტალიას ვეთამაშებით და ამისთანები. ახლა რომ ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა და თავის აუტკივებლად მოსაგები ლამის აღარავის დარჩა, ეს არახალია. ჰოდა, რადა ჩვენ ჩამოვყაროთ ყურები და თავი დავიშინოთ, პერუჯაში მთლად უიმედონი ვიქნებით. განა არ ვიცით, რა ძალის მეტოქე გველოდება, მაგრამ ბურთის სიმრგვალე მარტო ხატოვანი თქმა კი არა, არაერთხელ ნანახი სინამდვილეც გახლავთ. ასე რომ, სულაც არ იქნება საოცრება ბურთის იტალიელთა კარში შეგორება ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ხეირიანად გაირჯები. მოკლედ, ვნახოთ, რა მოხდება 9 ოქტომბერს პერუჯაში, მანამდე კი ჩვენი ნაკრების თავკაცს ალექსანდრე ჩივაძეს მოვუსმინოთ. იგი ახლახან დანიაში, მწვრთნელთა სემინარზე იყო მიწვეული და საუბარიც ამით დავიწყეთ...

— პირველი სემინარი ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგაც მოეწყო სტოკჰოლმში, ეს მეორე იყო და ასეც გაგრძელდება ყველა დიდი საფეხბურთო შეჯიბრების შემდეგ. კოპენჰაგენის სამდღიან სემინარს შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ენდი როქსბურგი უძღვებოდა, ესწრებოდნენ იუჰანსონი და აიგნერი. ჩვენი დელეგაცია ოთხკაციანი იყო: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, რომელიც უეფას ტექნიკური განვითარების კომიტეტის წევრიც გახლავთ, ნაკრების ტექნიკური დირექტორი რამაზ შენგელია, ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი დავით პეტრიაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი. სემინარი იქვე ტარდებოდა, სადაც ვცხოვრობდით — ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „შერატონში“. საზეიმო გახსნაზე სიტყვით გამოვიდა ლენარტ იუჰანსონი. ამის შემდეგ მუშაობაც გაჩაღდა. მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გუნდები ოთხ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. უეფამ სემინარამდე თითო ჯგუფს თითო სპეციალისტი მიამაგრა: პირველს ჟერარ ულიე, მეორეს როი ჰოჯსონი, მესამეს რინუს მიხელსი, მეოთხეს ტომი სვენსონი. მათ თავიანთი ჯგუფის საფუძვლიანი შესწავლა და თამაშების დეტალური მიმოხილვა-ანალიზი დაევალათ. ფრანგმა დანიელ ჟან-დიუპენმა ჩემპიონატის ყველა გოლიც განიხილა. აქვე მუშაობდა უეფას ქვეკომიტეტები, ერთ-ერთს ნოდარ ახალკაცი ხელმძღვანელობდა. მოკლედ, საქმიანი და საინტერესო ბევრი იყო. სემინარზე სიტყვით გამოვიდნენ არიგო საკი და ბერტი ფოგტსი. ფოგტსი მიღწეული წარმატებისთვის საგანგებოდაც დააჯილდოვეს. კოპენჰაგენში მიწვეულ უეფას წევრი ქვეყნების ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელთაგან არ ჩამოვიდა მხოლოდ ოთხი: აზერბაიჯანელ და უკრაინელ მწვრთნელთა არყოფნის მიზეზებზე არაფერი თქმულა, ჩეხების თავკაც დუშან უგრინს სწორედ მაშინ ჰქონდა სათამაშო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა მალტელებთან, ფრანგი ემე ჟაკე კი სემინარის წინა დღეს საავადმყოფოში დაწვა.

**— თუ იყო მსჯელობა ეგრეთ წოდებულ „ოქროს გოლზე“ ანუ „უეცარ სიკვდილზე“?**

— რა თქმა უნდა. ამაზე საკმაოდ ვიმსჯელეთ. საბოლოოდ, ყველა მწვრთნელი ერთ დასკვნამდე მივიდა — „ოქროს გოლით“ თამაშის დასრულება არაობიექტური და არასწორი გადაწყვეტილებაა. გუნდმა დამატებითი დროის დასაწყისშივე შეიძლება გაუშვას გოლი და მთელი ნაჯაფარი წყალში ჩაეყაროს, არადა, შეცდომის გასწორების მცირე შანსი ხომ მაინც უნდა მიეცეს. მწვრთნელთაგან ამ წესის უარყოფითი შეფასება საბოლოო დასკვნის სახით უეფას გაეგზავნა, იქ განიხილავენ და ალბათ შესაბამის განაჩენსაც გამოუტანენ „უეცარ სიკვდილს“.

**— საბოლოოდ როგორ შეაფასებდით კოპენჰაგენის სემინარს?**

— ყველამ იცის, რომ ფეხბურთი ადგილზე არ დგას და მუდმივად ვითარდება, ყოველ ახალ შეჯიბრებას სიახლე მოაქვს. ამიტომ, თუ ჩამორჩი, კარგს ნულარაფერს ელი. აღნიშნული სემინარი ამითაც, სიახლეებზე მსჯელობითაც იყო სასარგებლო. ამასთან, მწვრთნელები არა მარტო ვისმენდით, არამედ ჩვენი წინადადებითაც გამოვდიოდით. ერთ-ერთი, მაგალითად, ის იყო, რომ ნაკრებთა მწვრთნელებმა უეფას მოვთხოვეთ იმ ვადის გაზრდა, რომლითაც კლუბი ფეხბურთელს ნაკრებში უშვებს. ეს უფრო მეტად, რა თქმა უნდა, ლეგიონერებს ეხებათ. ახლა ეს ვადა ხუთდღიანია, რაც საკმაო არ არის. ეს პრობლემა სემინარის მონაწილე მწვრთნელთა უმეტესობას აწუხებდა. ამიტომაც მოვითხოვეთ 6-7 დღე. ამ წინადადებასაც განიხილავენ და ვნახოთ, რა იქნება. კიდევ ის იყო, რომ ყველას დაგვირიგეს სამი ვიდეო-კასეტა, რომელთა მეშვეობით ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გუნდებზე ბევრს ნახავ და შეიტყობ. მოკლედ, სემინარი საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა.

**... ამის შემდეგ საუბარი იტალიელებთან საოქტომბრო შეხვედრის თაობაზე გაგრძელდა...**

— 4 ოქტომბერს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ნაკრების წევრებს თურქეთში და რუსეთში მოთამაშე ლეგიონერები შეემატებიან და დილით, თერთმეტის ნახევარზე ჩარტერული რეისით რომში გავფრინდებით. ჩვენთან ერთად გამოემგზავრება ახალგაზრდული ნაკრებიც. რომში დანარჩენი ლეგიონერებიც შემოგვიერთდებიან და პერუჯაში გავეშურებით. რომიდან იქამდე საათნახევრის გზაა. დავბინავდებით პერუჯას გარეუბანში, ადგილობრივი საფეხბურთო გუნდის ბაზაზე და თამაშისთვის შევუდგებით მზადებას. ახალგაზრდები კი რომიდან არეცოში გაემგზავრებიან.

**— რამდენი ფეხბურთელის წაყვანას აპირებთ?**

— სულ 18 ფეხბურთელს მოვიწვევთ.

**— ბოლო ხანს ნაკრების წევრთა ტრავმები გაგვიხშირდა. არის სხვა პრობლემებიც. როგორ ფიქრობთ, მოასწრებენ ჩვენები მოშუშებას?**

— რა გითხრათ... საქმე მარტო ტრავმებში როდია. სათამაშო პრაქტიკაც ძალზე მნიშვნელოვანია. ნაკრების კაპიტანი კახა ცხადაძე მეორე ბუნდესლიგაში სამი თამაშით არის დისკვალიფიცირებული, ზაზა რევიშვილი მტკივან ფეხს იშუშებს და ინდივიდუალურად ვარჯიშობს, გოჩა ჯამარაულისა და დიმა კუდინოვის ამბავი ყველამ იცის — მოსკოველებთან თამაშისას ორივე საკაცით გაიყვანეს მოედნიდან. კარგა ხანი კია, რაც აკაკი დევაძემ მხარი მოიშუშა, მაგრამ ამდენივე ხანია, არ უთამაშია. შოთა არველაძეს ახლახან ოპერაცია დასჭირდა, ღვთის მადლით, არცთუ რთული. მოკლედ, საზარბიელო დღეში რომ არ ვართ, ცხადია, მაგრამ მაინც გვჯერა, რომ ბიჭები ყველა უბედობას და ავადმყოფობას დაძლევენ და 9 ოქტომბერს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნებიან.

**— იტალიელებზე რამე ახალი ხომ არ შეგიტყვიათ?**

— იტალიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ არ უთამაშია და, ბუნებრივია, საქმეშიც ვერ ვნახავდით, მაგრამ თუ მათი კლუბების ევროთასებზე გამოსვლით ვიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ნაკრების წევრები ურიგო ფორმაში ნამდვილად არ არიან. 5 ოქტომბერს იტალიელები მოლდოვაში თამაშობენ. მათ იქაც დავზვერავთ. მოკლედ, საჭირო ინფორმაცია გვექნება.

**— საკი და „სკუადრა ადზურა“ ევროპის ჩემპიონატში განცდილი სასტიკი მარცხის მერე ტიფოზების თვალში რეაბილიტაციის შეეცდებიან, ასე რომ, ჩვენს ნაკრებს ისედაც ძნელი ამოცანა კიდევ უფრო ურთულდება და თამაშიც, უეჭველია, მოსალოდნელზე მძიმე იქნება...**

— ახლა ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა ძალის მეტოქე გველის. ბერტი ფოგტსის კოპენჰაგენში ნათქვამს მოვიშველიებ: ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე ძლიერი გუნდი იტალიისა იყო. როცა ნორვეგიაში იქაურ ნაკრებს ვეთამაშეთ, ჩვენს სანახავად საკი თავად ჩამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი მატჩი მოლდოველებთან უწევთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელწამოსაკრავ გუნდად არ გვთვლიან. ჩვენს ფეხბურთელებზე კი ამას ვიტყვი — თავის გამოჩენის ასეთი შანსი მათ შესაძლოა აღარც მიეცეთ. ამასთან, ერთიც არის, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი — თუ ივარგეს, მათ საფეხბურთო კარიერას ეს ძალიან, ძალიან წაადგება. ცხადია, არც ის არის გამუდმებით სამტკიცებელი, რას ნიშნავს ეროვნულ გუნდში თამაში, ეს, ვფიქრობ, ყველამ კარგად იცის. ჰოდა, კეთილი უნდა ვინებოთ და გასაღების მაქსიმუმი უნდა გავიღოთ.

ალექსანდრე ჩივაძეს 26 სექტემბერს ვესაუბრეთ. მოზღვავებული პრობლემებისა და უძნელესი თამაშის მოახლოების მიუხედავად, ნაკრების „შტაბი“ იმედიანად გამოიყურებოდა. ეს იმედიანობა ჩვენც გადმოგვედო და კიდევ ერთხელ გვაფიქრებინა: რატომ უნდა შეუშინდნენ ჩვენები იტალიელ [illegible]

**მამუკა კვანტალიანი**



ყველაფერი თუ არა, თითქმის ყველაფერი ჩვენს ფეხბურთზე და არა მარტო მასზე — ასეთია ქართული ფეხბურთის ავანჩავანს ჩაკირკიტებული ჩვენი კოლეგის რევაზ შენგელიას ქართული ფეხბურთის წელიწდეულთა სერიის მეხუთე წიგნი. ავტორისთვის ჩვეული აკურატულობით და ჩაღრმავებით ამ წიგნ-ცნობარში დაწვრილებით არის მიმოხილულ-დალაგებული საქართველოს მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატის შედეგები პირველსა და მეორე ჯგუფებში, ჩვენი ეროვნული გუნდის შესარჩევი მატჩები, ინგლისის ევროპის ჩემპიონატი, ამოიკითხავთ მცირე დოსიეს ჩვენს ნებისმიერ პირველ თუ მეორეჯგუფელ ფეხბურთელზე.

ეს მართლაც სამაგიდო წიგნი, სამწუხაროდ, ტირაჟმცირეა, ასე რომ, შეძენის მსურველებს ვურჩევთ, დროულად მოიკითხონ იგი ეროვნულ სტადიონზე და საგაზეთო ჯიხურებში.




## ყიზილაშვილმა ყავარჯენი გადააგდო

უეფას თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის განმეორებით მატჩს თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის ნორვეგიაში ფეხმოტეხილმა დინამოელთა თავდამსხმელმა დავით ყიზილაშვილმა ტრიბუნიდან უყურა და იქიდან ქომაგობდა თავისიანებს. მან ზუსტად იმ დღეს გადააგდო ყავარჯენი და ისე გაიარა. ორ-სამ დღეში დათო სურათს გაიღებს და, თუ ექიმმა ნება დართო, ძუნძულსაც დაიწყებს. იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ყიზო წელსვე შეეშველება თანაგუნდელებს ჩემპიონატსა თუ ევროთასებზე.

## კობიაშვილი კარგადაა, BMW—ცუდად

„დინამო“ — „ტორპედოს“ მატჩის მეორე დღეს დინამოელთა ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის ლევან კობიაშვილის ღია ფერის BMW-ს ალმაშენებლის გამზირზე მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა და ერთობ დააზიანა ფეხბურთელის კუთვნილი მანქანა. თავად ლევანი, საბედნიეროდ, არ დაშავებულა.

## „სამგურალი“ ბაბუნიძეს ჩააბარეს

მერვე ჩემპიონატში წარუმატებელი სტარტის გამო გადადგა წყალტუბოს „სამგურალის“ მთავარი მწვრთნელი თემურ კოხრეიძე, რომელსაც ადრე თერჯოლის „საპოვნელა“ უწვრთნია და პირველ ჯგუფშიც გადმოუყვანია იგი. კოხრეიძეს სხვადასხვა დროის ქუთაისის „ტორპედოს“ ერთ-ერთ მწვრთნელადაც უმუშავნია.

კოხრეიძის წასვლა თბილისის „შევარდენთან“ წყალტუბოში ფრედ ნათამაშებმა შეხვედრამ განაპირობა. აღსანიშნავია, რომ „სამგურალი“ ურიგოდ არ თამაშობდა, მაგრამ საშინაო თამაშებში ბედი მაინცდამაინც არ სწყალობდა და გოლები დიდი გაჭირვებით გაჰქონდა. „შევარდენთან“ ფრემდე ხაშურის „ივერიასთან“ განცდილი მარცხიც იყო, რომელსაც წყალტუბოელები მსაჯთა შეცდომებს აბრალებდნენ.

ახალ მწვრთნელად „სამგურალს“ გივი ბაბუნიძე დაუნიშნავს, რომელიც ჯერ კიდევ შარშანწინდელ სეზონში ტყიბულის „მეშახტეში“ თამაშობდა.

39 წლის გივი ბაბუნიძეს, რომელსაც საფეხბურთო წრეებში „ბულიას“ მეტსახელით იცნობენ, თავის დროზე „სამტრედიაში“ „ბათუმში“ და თავად „სამგურალში“ უთამაშია. 1993 წელს, როცა წყალტუბოს გუნდმა საქართველოს ჩემპიონატში თავის საუკეთესო შედეგს, მეოთხე ადგილს მიაღწია, ბაბუნიძე გუნდის გამთამაშებელი და დირიჟორი იყო. იგი ყოველთვის ჭკვიანი ფეხბურთელის რეპუტაციით სარგებლობდა და გამოზომილი და გააზრებული პასების ოსტატი გახლდათ. საქართველოს ჩემპიონატში ჩატარებულ 106 თამაშში ბაბუნიძეს 14 გოლი გაუტანია.

ახალი მწვრთნელის დებიუტი დღეს რუსთავში „გორდასთან“ შეხვედრაში შედგება. იქნებ მას მაინც არ უმტყუნოს ფორტუნამ.

## „შევარდენის“ მწვრთნელი გადადგა

წარუმატებელი სტარტის შემდეგ „შევარდენი“ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და სატურნირო ცხრილის ბოლოში მოექცა. ამიტომ, წყალტუბოში „სამგურალთან“ სტუმრად ფრედ დამთავრებული მატჩის [illegible]



გოგი ახვლედიანი:

## სვეტი

### მარშრუტის გამო

რა და...

მარშრუტის გამო მინდა ვთქვა.

უცნაური მარშრუტი, რომელიც, ალბათ, არცერთ ქალაქში არ არსებობს.

ერთის მხრივ ეს ჩვეულებრივი მარშრუტია, ხალხი ყოველდღე გადიგამოდის ამ გზაზე, მაგრამ თბილისში გაჩნდა დღეები, როცა ადამიანთა უზარმაზარი ჯგუფები ამ მარშრუტს დიდი მონდომებით, ჩქარი და საქმიანი ნაბიჯით გადიან.

რას იზამ — ასეა, როცა ერთ დღესაა კალათბურთიც და ფეხბურთიც. და ფეხბურთი კალათბურთის დამთავრებიდან ზუსტად საათსა და ხუთ წუთში იწყება.

უცნაური მარშრუტია-მეთქი. უფრო კი უნიკალური, რადგან მსოფლიოს არცერთ ქალაქში არ ხდება ისეთი რამ, რომ ერთიდაიგივე ხალხი, ერთსადაიმავე დღეს მიდიოდეს ჯერ კალათბურთელთა მატჩზე, მერე კი სტადიონზე მიიჩქაროდეს.

უცხოეთში, სადაც საკლუბო „ბალეშჩიკობას“ უბნური პრინციპი უდევს საფუძვლად, სრულიად წარმოუდგენელია, რომ „დინამოს“ ქომაგი და ერთგული „ვითას“ თამაშებზე ხმის ჩახლეჩამდე ბღაოდეს. წარმოუდგენელია, რომ ლონდონში, საკალათბურთო „თაურზის“ თამაშზე, ჩრდილოეთ უბნებიდან გამოქანდნენ „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ღრიალა ფანები, კალათბურთელებს უქომაგონ და მერე საყვარელი „ტოტენჰემის“ თამაშის საცქერლად გაქანდნენ — „ვაით ჰართ ლეინზე“ არ დაგვაგვიანდესო.

ჩვენა, ჩვენ სხვანაირი ხალხი ვართ. ჩვენ ერთნაირად ვკითხულობთ „ვითას“, „ბათუმის“, ჭადრაკის, „დინამოს“, გიორგი კანდელაკის ამბებს. ჩვენ უბნურად არ ვქომაგობთ, არამედ, საკლუბო ამბავშიც კი მხოლოდ ნაციონალურად.

„გლაზგო რეინჯერსი“ რომ წააგებს ხოლმე, „სელტიკის“ ქომაგები დავლურს უვლიან.

ანდა, მადრიდი ავიღოთ. შეუძლებელია, „რაიო ვალეკანოს“ გულშემატკივარმა თქვას — ძმებო ჩვენი გუნდი ვალეკანო კი ჩავარდნილია, მაგრამ უეფას ტურნირებზე ჩვენი ქალაქის „რეალი“ და „ატლეტიკო“ თამაშობენ და ხაჰ, ორივეს მოუგია! რა სასიხარულოა, რომ ჩვენი ქალაქის გუნდები წინ მიიწევენო.

ასეთი რამ არ არსებობს.

ჩვენთვის ნაცნობ ქალაქ მანჩესტერში, ზუსტად ასი წლის წინათ, იუნაიტედის უფროსობამ რაღაც ინტრიგები მოუწყო სიტის უფროსობას და მეინ როუდის კლუბი დაამცრო. იმ დღიდან, როუდსა და ოლდ ტრეფორდზე მოსულ გულშემატკივრებს შორის შავმა კატამ გაირბინა და სიძულვილმა დაისადგურა. ჩემი თუ არ გჯერათ, ნოემბერში გიო ქინქლაძე ჩამოვა ინგლისთან სათამაშოდ და იმას ჰკითხეთ.

ჩვენში უბნური დაყოფის ნიშნები ადრე მინი-ფეხბურთში თუ გამოჩნდებოდა.

მერე კალათბურთის ჩემპიონატშიც ჩანდა ასეთი რაღაც — როცა „ვითა“ რომელიმე აღზევებულ გუნდს შეხვდებოდა ხოლმე. თუმცა, აქ უბნური პრინციპი იმდენად არ იყო, რამდენადაც გულის კარნახი და ძმაბიჭობა.

და აი, ისევ მარშრუტი, თავის მხრივ საუცხოო. ბევრმა მოკლე გზებითაც იარა სპორტის სასახლიდან სტადიონამდე.

სანახაობა კი ორივეგან დიდებული იყო. თუმცა, კალათბურთი წავაგეთ, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ათი ზანგი, (სულ რომ არ იცოდეს კალათბურთის თამაში) მაინც რაღაცას ნიშნავს და ჩვენი „ვითა“ მაინც კარგად გაისარჯა, რადგან არაფერია იმაზე კარგი, სპორტსმენი რომ ბრძოლას ეჩვევა და სანახაობას სთავაზობს მაყურებელს.

[illegible]

გაუმარჯოს ახალ მარშრუტს! (განა ყველა ლოზუნგი უცდა?)

# განახლებული ეროვნული 20 წლისაა

1976 წლის 29 სექტემბერს თასების თასის გათამაშების პირველი ეტაპის საპასუხო შეხვედრაში თბილისის „დინამომ“ უელსის „კარდიფ სიტის“ უმასპინძლა და 3:0 მოუგო. ეს იყო პირველი მატჩი „დინამოს“ განახლებულ სტადიონზე, რომელსაც უმალ ლენინის სახელი დაანათლეს. ახლა ამ სტადიონს, სამშაბათს ისევ ყველა რომ შეგვყარა, ეროვნული სტადიონი ჰქვია. გასული ოცი წლის მანძილზე აქ ბევრ სახელგანთქმულ კლუბს, ნაკრებსა და ფეხბურთელს უთამაშია, „დინამოსა“ და აწ უკვე საქართველოს ნაკრებს ბევრი დიდი მოგება უნახავთ. აქვე 1977 წელს ქვეყნის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ისეთი რამ ჩაიდინა, დღემდე თავისი ბიოგრაფიის მნიშვნელოვან მოვლენად რომ თვლის. თუმცა დღეს ამაზე არ ვისაუბრებთ. ამ მცირე იუბილისას გადავწყვიტეთ შეგვედგინა 1976–96 წლებში ეროვნულ სტადიონზე ნათამაშებ იმ უცხოელ ფეხბურთელთა სიმბოლური ნაკრები, რომელთაც არა საერთოდ, არამედ ჩვენს სტადიონზე ჩატარებული მატჩებით დაგვამახსოვრეს თავი.


ჰარალდ შუმახერი (კიოლნი)
28.11.1984 სპარტაკი — კიოლნი


მანფრედ კალცი (ჰამბურგი)
07.11.1979 დინამო — ჰამბურგი


ივან ბულიანი (ჰამბურგი)
07.11.1979 დინამო — ჰამბურგი


ერიკ გერეტსი (სტანდარდი)
07.04.1982 დინამო — სტანდარდი


რუუდ კროლი (ნაპოლი)
15.09.1982 დინამო — ნაპოლი


ჟან ტიგანა (ბორდო)
18.03.1987 ტორპედო (მ) — ბორდო


ლეონიდ ბურიაკი (დინამო კიევი)
ბევრჯერ. განსაკუთრებით ნაკრებში


ენცო შიფო (ანდერლეხტი)
21.03.1984 სპარტაკი — ანდერლეხტი


იურგენ კლინსმანი (გერმანია)
29.03.1995 საქართველო — გერმანია


ანდრაშ ტიოროჩიკი (უნგრეთი)
19.05.1979 სსრკ — უნგრეთი


კევინ კიგანი (ჰამბურგი)
07.11.1979 დინამო — ჰამბურგი

## საქმე მთლად ცუდად არაა

ეროვნული სტადიონის მთავარი ინჟინერი ზურაბ ნოზაძე აქ, ფაქტიურად, სტადიონის გახსნის დღიდან მუშაობს და ვინ, თუ არა მან, იცის, რა შეიცვალა ქვეყნის მთავარ სპორტულ არენაზე 1976 წლის სექტემბრიდან დღემდე, ესე იგი, იმ სამახსოვრო დღიდან, „დინამომ“ პირველი მატჩი რომ ჩაატარა ამ სტადიონზე და „კარდიფ სიტი“ 3:0 დაამარცხა. ჩვენც თავიდანვე შევთანხმდით, რომ იუბილარის პრობლემებზე ნაკლებად ვისაუბრებდით. მთავარ ინჟინერს ვთხოვე იმაზე ემბნა, რაც გაკეთდა და რის გაკეთებასაც აპირებენ.

**— რა შეიცვალა ამ ოც წელში?**

— რომ ვთქვა, კარგის მეტი არაფერი შეიცვალა-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ მთლად ცუდადაც არ არის საქმე ახლა იმას ვცდილობთ, როგორმე სტადიონი ევროპის სტანდარტებს მივუახლოვოთ. ესე იგი, რა ცვლილებებია 20 წლის შემდეგ? ცვლილებები ბევრია, ყველაფერს ვერც გავიხსენებ. სტადიონი ხელახლა გადაიხურა, დამონტაჟდა ახალი ვიდეოტაბლო, კეთილმოეწყო გასახდელები. საერთოდ, სტადიონის რეკონსტრუქციაზე ვფიქრობთ. გახსოვთ, რა დღეში ვიყავით ამ 5 წლის წინ? არც სტადიონს ადგა კარგი დღე და არც „დინამოს“. ის, რომ საერთაშორისო შეხვედრებმაც იმატა, იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში სპორტიც გამოცოცხლდა და ხალხიც.

**— მაგრამ ამასთან, პრობლემებიც მოგიმრავლდებოდათ...**

— ეს ბუნებრივიცაა. გულშემატკივარმა სტადიონისკენ პირი იბრუნა და მას ისეთი პირობები უნდა დახვდეს, თანამედროვე ცხოვრება რომ ითხოვს. დღევანდელი მაყურებელი ხომ განსხვავდება 20 წლის წინანდელისგან. ახლა გამოსავალს ვეძებთ, ჩვენს გულშემატკივრებსა და ჩამოსულ სტუმრებს უკეთესი პირობები რომ შევუქმნათ.

**— სულ მალე, აგერ უკვე 1997 წელს უეფას მოთხოვნის შესრულება მოგვიხდება, რომლის თანახმადაც სტადიონზე მხოლოდ ინდივიდუალური სკამები უნდა იყოს. თუ არა, სტადიონი საერთაშორისო შეხვედრებისგან „თამაშგარეში“ აღმოჩნდება. ამასობაში, ბათუმის სტადიონზე ეს მოთხოვნა, ფაქტიურად, დაკმაყოფილებულია...**

— მე ასე გიპასუხებთ: ჯერ ერთი, ჩვენი სტადიონის ტევადობა ბათუმისაზე სამჯერ მეტია და, ბუნებრივია, სკამების დამონტაჟებასაც მეტი დრო სჭირდება. მეორეც, ისეთი სკამები არ გვინდა, როგორიც ბათუმშია.

**— რატომ, იქ უხარისხო სკამებია?**

— არა, უხარისხოა-მეთქი, მთლად ამის თქმაც არ მინდა. მაგრამ, რად გვინდა ისეთი სკამები, თუ მომავალ წელს მათი შეცვლა დაგვჭირდება? ის არ სჯობს, ერთხელ ვიყიდოთ და ხარისხიანი? თანაც, გამძლე უნდა იყოს, ჩვენს პირობებს რომ შეეფერება, და არა დროებითი. ვიღაცას თვალი რატომ უნდა ავუხვიოთ?

**— საერთოდ, უეფა სტადიონების ხელმძღვანელებს ურჩევს, ფირმა „ვინელის“ დახმარებით ისარგებლონ, ეს იტალიური ფირმა კი ინდივიდუალური სკამების ოთხ ვარიანტს გვთავაზობს. თქვენც ამ ფირმას ხომ არ მიმართავთ?**

— დიახ, „ვინელის“ სკამების დამონტაჟებას ვაპირებთ. იტალიელები პლასტმასის სკამების ცნობილი მწარმოებელნი არიან და ჩვენც მასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. სხვათა შორის, „ვინელი“ მოსკოვის „ლუჟნიკის“ სტადიონის რეკონსტრუქციაშიც მონაწილეობს. ამჟამად მზადდება პროექტი, რომლის განხორციელებასაც მალე შევუდგებით. ოქტომბრის დასაწყისისთვის ფირმის წარმომადგენლები ჩამოვლენ. ჩვენს პარტნიორებთან ახლა გარკვეულ საკითხებს ვაზუსტებთ, პრობლემებიც არის. მათი მოგვარების შემდეგ, იმედია, შეთანხმებას მივაღწევთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სურვილია, საქართველო-ინგლისის 9 ნოემბრის მატჩისთვის დასავლეთი ტრიბუნების ნაწილი მაინც დავახვედროთ გულშემატკივრებს განახლებულ მდგომარეობაში. ახალი სკამები აყრილი ხის სკამების ადგილზე დამონტაჟდება.

**— აბა, თავის დროზე რომ ითქვა, იმ აყრილი სკამების ქვეშ ტრიბუნას საფუძველი აქვს გასამყარებელიო?**

— მართალია, სკამები იმიტომ ავყარეთ, რომ ტრიბუნების საფუძველი გაგვემყარებინა. ეს ერთი მიზეზია. მეორე მიზეზი კი ისაა, რაც უკვე ვთქვი — ამ საფუძვლის გამყარების შემდეგ, რაც უკვე მიმდინარეობს ... ძველ სკამებს ხომ არ დავაყენებთ? აზრი არა აქვს. ახალ სკამებს დავამონტაჟებთ. იქნებ უეფას წარმომადგენლებმა დაგვიფასონ ეს გარჯა და მცდელობა, ინდივიდუალური სკამების დამონტაჟების თარიღი გადაგვიწიონ და მხედველობაში მიიღონ ჩვენი არცთუ მდიდარი ფინანსური მდგომარეობა. თორემ ფინანსების უქონლობის გამო ამ მოთხოვნებს 1997 წლამდე ვერ შევასრულებთ. ისე კი, ფიზიკურად ეს შესაძლებელია.

**— ფირმა „ვინელის“ კატალოგში ოთხი სახეობისა და სხვადასხვა ფერის სკამებია წარმოდგენილი. არის ზურგიანი და უზურგოც. თქვენ რომელს და რა ფერისას ამჯობინებთ?**

— ფერამდე ჯერ არ მივსულვართ. ეს მაინც გემოვნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ დანამდვილებით გეტყვით, რომ საზურგიან სკამებს დავაყენებთ, 32 სანტიმეტრი სიმაღლის, რაც უეფას სტანდარტებს შეესაბამება.

**— რამდენადაც ვიცი, კატალოგში წარმოდგენილი სკამებიდან საზურგიანები ყველაზე ძვირადღირებულია...**

— ყველაზე ძვირადღირებულიცაა და ყველაზე ხარისხიანიც. მაგრამ არც ისეთი ძვირია, როგორიც გვეგონა. მე ბერძნული სკამებიც ვნახე, ისინი უფრო იაფი — 12 დოლარი ჯდება, ფირმა „ვინელისა“ კი — 15 დოლარი. თუნდაც თურქული სკამები ბათუმის სტადიონზე — სულ რაღაც 5 დოლარი ღირს. მსგავსი სკამები ჩვენი სტადიონის პრეს-ლოჟაშია დამონტაჟებული და თქვენზე კარგად არავის მოეხსენება, როგორი მოუხერხებელია. თანაც, გამძლეც არ ეთქმის. „ვინელის“ სკამებზე კი ამას ვერ იტყვი — ხარისხიანიცაა და მოსახერხებელიც.

**— რაკი პრეს-ლოჟაახსენეთ, გკითხავთ: საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ იქ დამსწრე ჟურნალისტებს ადგილი არ ჰყოფნით, გარდა ამისა, სტადიონის პრეს-ლოჟა თანამედროვე მოთხოვნებს უკვე ვეღარ პასუხობს. კიდევ ერთი პრობლემაც: ჟურნალისტების ადგილზე ხშირად სულ სხვა ხალხი მოკალათდება ხოლმე. მოკლედ, მე ჩემს კოლეგებზეც ვზრუნავ — გვექნება თუ არა ნორმალური სამუშაო პირობები?**

— ჩვენს იტალიელ პარტნიორებს ფირმა „ვინელის“ წარმომადგენლებს ამ საკითხზეც ვესაუბრეთ. გათვალისწინებულია 250-კაციანი პრეს-ლოჟის აშენება და საერთოდ, პრესის ლოჟის რეკონსტრუქციას ვაპირებთ. მას ცალკე შესასვლელი ექნება. ჟურნალისტებს მაყურებელთან ისეთი კონტაქტი არ ექნება, როგორც ამჟამად. თანაც, თქვენთვის რბილი სავარძლები დაიდგმება, ისეთი, როგორიც სამთავრობო ლოჟაშია. სიტყვამ მოიტანა და, ვგეგმავთ სამთავრობო ლოჟისა და მის ქვემოთ მდებარე ტრიბუნების რეკონსტრუქციასაც, სადაც საპატიო სტუმრები სხდებიან.

**— სტადიონზე ჟურნალისტებს ერთი ხელოვნური პრობლემაც გვექმნება. ამა თუ იმ საერთაშორისო შეხვედრის დამთავრებისთანავე პოლიციის თანამშრომლები გასახდელამდე მისვლის და მოთამაშეებთან დალაპარაკების არ გვაცლიან. იმიზეზებენ, საქმეს ვკეთებთო, თითქოს ჟურნალისტების საქმე მათსას ხელს უშლიდეს. მოკლედ, ეს საკითხიც მოსაგვარებელია...**

— ალბათ, მალე ამასაც მოევლება. ჟურნალისტებმა ყოველი შეხვედრის წინ უნდა აჩვენონ პოლიციელს სააკრედიტაციო საშვის ეგზემპლარი და პრობლემაც მოიხსნება. თანაც, თქვენზე, ჟურნალისტებზე, 200 ცალი საშვი გაიცემა და უპირველესად ეს არის გასარკვევი, ვის რა უფლება გააჩნია. ფაქტია, რომ ორასივე ჟურნალისტს გასახდელთან ფაქტიურად ვერ გააჩერებ. თქვენი კარგად მესმის, ფაქტია, რომ მეტი დახმარება და თანადგომა გჭირდებათ. დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ ამაზეც ვფიქრობთ.

**— და ბოლოს: ერთი საკითხი, რომელიც ძალიან გვაინტერესებს. ბოლოს და ბოლოს, ვის ეკუთვნის სტადიონი? მერიის თუ „დინამოს“?**

— სპორტულ კლუბ „დინამოს“, რომელიც ადრინდელ რესპუბლიკური სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სამართალმემკვიდრეა.

**მერაბ მამულაშვილი**

## ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

### A ჯგუფი

**აიაქსი 0:1 გრასჰოპერი**

„აიაქსი“ წლეულს ისე ველარ აიაქსობს, მაგრამ მისი დამარცხება, მთელს ევროპაში მაინც უპირველესი ცნობაა. მითუმეტეს თუ ეს გუნდი შინ მარცხდება. სწორედ ასეთი რამ მოხდა ჩემპიონთ ლიგის მეორე ტურში. ახლაშენებულ ამსტერდამის „არენაზე“ ციურიხის „გრასჰოპერმა“ 60-ე წუთზე იაკინის მიერ 35 მეტრიდან გატანილი გოლით სძლია ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელს და ბოლო გათამაშების ფინალისტს. სხვათა შორის, ეს ახალი და გუნდისთვის დათარსული სტადიონი იმ დღეს გადახურული იყო და ამგვარად, პირველად ისტორიაში, ევროპული თასის შეხვედრა ჭერქვეშ ჩატარდა.

„აიაქსი“ ჩემპიონთა თასზე 99-ე მატჩს თამაშობდა. მას აკლდნენ პატრიკ კლუივერტი, ჯონ ფელდმანი, რიხარდ ვიჩზე და პეტერ ჰუკსტრა. დენი ბლინდი ტრავმის შემდეგ პირველად თამაშობდა. ვინსტონ ბოგარდეს კი კოჭის ტკივილს წამალი უყურებდა. სტუმრებს ერთადერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი კუბილაი თურქილმაზი არ ჰყავდათ, რომელსაც კუნთი გასჭიმვოდა.

მასპინძლებმა სახიფათო მომენტები შექმნეს. ზოგი მათგანი უეჭველი გოლის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ ბურთი შვეიცარიელთა კარში არ შესულა. ბევრს ეცადა ტიჯანი ბაბანგიდაც, იმ დღეს 23 წლისა რომ მოიყარა, თუმცა უშედეგოდ.

მატჩის შემდეგ „აიაქსის“ გაწბილებულმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა თქვა:

— წაგებამ შოკში ჩამაგდო. ჩვენ უნდა მოგვეგო, შექმნილი მომენტების გამოყენება გვმართებდა.

რონალდ დე ბურმა განაცხადა, რომ „გრასჰოპერმა“ ჭკუა იხმარა, 4-5-1 სქემით განლაგდა მოედანზე და ამიტომაც მოიგო:

— თავიდან „აიაქსურად“, გრძელი პასებით დავიწყეთ თამაში. რომ მოგვეგო, შეცდომა ალბათ გვეპატიებოდა, ახლა კი ამას ვერ ვიტყვი.

**რეინჯერსი 1:2 ოსერი**

გლაზგოში „რეინჯერსმა“ „ოსერს“ უმასპინძლა, ფრანგთა მწვრთნელი გი რუ იძულებული იყო ტრავმირებული ლილიან ლასლანდესის მაგივრად თომას დენიუ ეთამაშებინა. როგორც გაირკვა, იძულება სასარგებლო ყოფილა — დენიუმ ორი გოლი გაიტანა. ორივე მეორე ტაიმში თაურით გავიდა. 37 ათასმა გლაზგოელმა ქომაგმა კი სამწლინახევრის შემდეგაც ვერ ისიამოვნა ჩემპიონთა ლიგაში თავიანთი გუნდის გამარჯვებით. „რეინჯერსი“, უკვე მეათე მატჩია, წარმატებას ვერ აღწევს.

მასპინძელთა გოლი ინგლისელმა პოლ გესკოინმა გაიტანა. გაზამ, რომელიც „რეინჯერსში“ ორმოცდამეათე მატჩს თამაშობდა, ოცდამეხუთე შეაგდო, ერთი ყვითელიც იხილა, მაგრამ 71-ე წუთზე კარგი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან — თაური ჯაცუნდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გრასჰოპერი** | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| **ოსერი** | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| **აიაქსი** | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| **რეინჯერსი** | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

### B ჯგუფი

**სტიაუა 0:3 დორტმუნდი**

დორტმუნდელებს ბუქარესტში მოგება არ გასჭირვებიათ. მე-7 წუთზე ანდრეას მიოლერმა გრძელი, ზუსტი პასით ახალგაზრდა ლარს რიკენი გაიყვანა გარღვევაზე რიკენმაც საჯარიმოში შეირბინა და რუმინული გუნდის მეკარეს დანიელ გერასიმს მარჯვენა კუთხეში გაუტანა. „დორტმუნდი“ და „სტიაუა“ შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს, იმ გათამაშების ორ შეხვედრაში სულ ერთი გოლი გავიდა და ისიც სწორედ რიკენმა შეაგდო.

გერმანელებმა 37-ე წუთზე გაზარდეს ანგარიში. პირველი დარტყმა გერასიმმა მოიგერია, მაგრამ ნახევარმცველმა იორგ ჰაინრიხმა იმკვირცხლა და ბური ბადეში გაგზავნა.

ამასობაში მასპინძლებმა ორი ხელსაყრელი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, შვეიცარიელმა შტეფან შაპუიზამ კი წარბიც არ შეიხარა და თამაშის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე დორტმუნდელთა მესამე შეაგდო.

პასუხად დამიან მილიტარუმ ოთხი მეტრიდან ხარიხა შეაზანზარა.

**ვიძევი 1:4 ატლეტიკო**

„ატლეტიკოს“ ოთხ გოლზე ნაკლები არ გაუქვს. ორი კვირის წინ, პირველ ტურში ბუქარესტის „სტიაუას“ რომ მასპინძლობდა, 4:0 მოიგო, ახლა ლოძში ჩავიდა და იმდენივე შეყარა, თუმცა ერთი გაუშვა.

ანგარიში იუგოსლავიელმა მილინკო პანტიჩმა 25-ე წუთზე გახსნა. რვა წუთის შემდეგ დიეგო სიმეონემ მეორე დაამატა, მაგრამ ტაიმის ბოლო წამებზე „ვიძევის“ მარეკ ციტკომ ესპანეთის ჩემპიონთა გოლკიპერ ხოსე მოლინას ბურთი თავზე გადაუგდო და სხვაობა ერთამდე შეამცირა.

მასპინძლებმა მეორე ტაიმში გარდატეხა ვერ შეიტანეს, სიმეონემ კი 58-ზე 3:1 გახადა, ამას კიკომ ორ წუთში ერთიც მიაყოლა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლეტიკო** | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| **დორტმუნდი** | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| **ვიძევი** | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| **სტიაუა** | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

### C ჯგუფი

**მანჩესტერი 2:0 რაპიდი**

მანჩესტერელთა მეორე თამაში პირველს, 14 დღის წინ ტურინში „იუვენტუსის“ წინააღმდეგ რომ გამართეს, არაფრით ჰგავდა. „იუნაიტედის“ თავკაცს ალექს ფერგიუსონს ეტყობა ყველაფრისთვის სხვა თვალით შეუხედავს და გარკვეულწილად ფასეულობანიც გადაუფასებია. ასე თუ არ იყო, მაშ რით უნდა აიხსნას, რომ მაშინ, როდესაც მთელი „ოლდ ტრეფორდი“ ინგლისურ სირბილს ელოდა, „იუნაიტედმა“ ლამის ჭადრაკი ითამაშა. ასეთი ტექნიკური და რაც მთავარია გონიერი „მანჩესტერი“ მის ქომაგებს კარგა ხანია არ ახსოვთ. თამაშის გული და ინტელექტი ახალგაზრდა დევიდ ბექემი გახლდათ. ამ ბიჭმა დაამტკიცა, რომ არა მარტო გოლების შეყრის ალღო აქვს, არამედ პასებიც ეხერხება.

თავიდან, მე-20 წუთზე, ბექემმა თავისებურად წამოიწყო შეტევა და ირლანდიელ თანაგუნდელ როი კინის გადასცა ბურთი. კინის მარჯვენივ სივრცე გაუთავისუფლდა და შეიჭრა, შემდეგ კი დიაგონალზე დააგორა. პობორსკის ტრიფონ ივანოვმა და მისმა მეგობრებმა შეუშალეს ხელი, სოლსკიაერის წინააღმდეგ კი ვერა გააწყვეს.

შვიდ წუთში მასპინძლებმა მეორე გოლი იზეიმეს. ამჯერად ბექემმა თავად გაიტანა. პეტერ შტიოგერმა უკან, მეკარე კონსელისთვის მიწოდება სცადა, მაგრამ ბექემმა ვითარებას უცბათ აუღო ალღო და საჯარიმოში შევარდა. კონსელმა პირველი დარტყმა უკუაგდო, მაგრამ განმეორებითს ველარაფერი მოუხერხა.

მეორე ტაიმში ავსტრიის ჩემპიონებმა გამოსწორება სცადეს, მაგრამ „იუნაიტედის“ დანიელმა მეკარემ პიტერ შმაიხელმა ნათლად განმარტა თუ რატომ გაუფორმეს მანჩესტერელებმა ხუთწლიანი კონტრაქტი.

**ფენერბაჰჩე 0:1 იუვენტუსი**

სტამბოლის გუნდმა ნერვიულად ითამაშა და ბევრი შეცდომა დაუშვა. ერთი ასეთი შეცდომა 22-ე წუთზე კარგად გამოიყენა „იუვენტუსის“ ხორვატმა თავდამსხმელმა ალენ ბოკშიჩმა და მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

მანამდე, მე-10 წუთზე, „ფენერბაჰჩეს“ ბოსნიელმა თავდამსხმელმა ელვირ ბოლიჩმა თარიქის პასით ხელსაყრელი მდგომარეობიდან ხარიხას გადააცილა.

ბოლიჩს 30-ე წუთზეც ჰქონდა მომენტი, მაგრამ სტუმართა გოლკიპერმა მიქელანჯელო რამპულამ ხელი შეუშალა და სიზუსტე დააკარგვინა.

მეორე ნახევარში ორივე მხარეს შეეძლო შეგდება, ოღონდ ვერ მოახერხეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იუვენტუსი** | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| **მანჩესტერი** | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| **ფენერბაჰჩე** | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| **რაპიდი** | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

### D ჯგუფი

**პორტუ 2:1 გიოტებორგი**

სამივე გოლი მასპინძლებმა გაიტანეს. ორი, მოწინააღმდეგის კარში ბრაზილიელმა არტურმა შეაგდო, ერთი, საკუთარში ჟორჟე კოშტამ.

პირველი 27-ე წუთზე იყო, როდესაც თანამემამულის ედმილსონ პიმენტას პასით არტურმა სამ მცველს სძლია და უძლიერესი დარტყმით იმარჯვა, 51-ზე ასისტენტობა პაულინიუ სანტუშმა გასწია, არტურმა კი ბრწყინვალე თაურით მიზანს მიაღწია.

72-ზე, ბურთის საჯარიმოდან გადაგდებას რომ აპირებდა, ჟორჟე კოშტამ თავისი კარი დალაშქრა.

**რუსენბორგი 1:4 მილანი**

ნორვეგიაში ციოდა და მარკო სიმონეს შავი ხელთათმანები ეცვა. მისი ხელთათმანების ფონზე კი უკვე საფირმო ნიშნად ქცეული თეთრი ბუცები ანათებდა. ამ ბუცების პატრონმა 23-ე წუთზევე დაასამარა მასპინძელთა იმედი. იმ დროისთვის სიმონეს ჰეთ-თრიკი ჰქონდა მოსწრებული.

27 წლის იტალიელმა 20 849 ნორვეგიელი ქომაგის სავალალოდ მე-6 წუთზე გახსნა ანგარიში. ამ ეპიზოდში მას ხელი ახალმა თანაგუნდელმა, ედგარ დავიდსმა შეუწყო. მე-16-ზე „რუსენბორგის“ ეგილ სოლტვედტმა 15 მეტრიანიდან გაათანაბრა.

სიმონე ამას ვერ შეეგუა და 23-ზე და 24-ზე მასპინძლებს გოლები ჟუმბარებივით დააყარა.

მეორე ტაიმის მე-10 წუთზე იმავე სიმონემ დიაგონალზე ჩაიდრიბლინგა, მცველები გაიყოლა და ჟორჟე ვეას არე გაუნთავისუფლა. არც პასი დაუგვიანა და ვეამაც დაუფასა.

73-ზე „მილანის“ ურუგვაელმა მწვრთნელმა ოსკარ ტაბარესმა სიმონე რობერტო ბაჯოთი შეცვალა, თამაშის ბოლოს კი თქვა:

— ასეთ შედეგს ვერც კი წარმოვიდგენდი. ჩვენ ამ გამარჯვების ღირსნი ვიყავით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პორტუ** | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| **მილანი** | 2 | 1 | 0 | 1 | 6:4 | 3 |
| **რუსენბორგი** | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | 3 |
| **გიოტებორგი** | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

## ლოთი ლოთის წილ

ინგლისის ნაკრები 9 ოქტომბერს უემბლიზე პოლონეთს მასპინძლობს. ამ შეხვედრისთვის მოსამზადებლად გლენ ჰოდლმა და ანტონინ პეხნიჩეკმა ოცდასამ-ოცდასამი ფეხბურთელი გამოიძახეს.

ჰოდლმა ნაკრებს დაუბრუნა „არსენალის“ ნახევარმცველი პოლ მერსონი, რომელსაც კარიერაში, ეროვნულ გუნდში, 14 მატჩი აქვს ნათამაშები. ბოლოს მერსონმა 1994 წელს საბერძნეთის წინააღმდეგ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ კი ლოთობას, ნარკოტიკებს და აზარტულ თამაშებს მიჰყო ხელი და დიდი სარბიელიდან გაუჩინარდა. მერსონის ეყო ნებისყოფა, თავის მანკიერებაზე ხმამაღლა განაცხადა და ოჯახისა და საზოგადოების მხარდაჭერით „ამ ქვეყანას“ დაუბრუნდა, დღეს კი, როგორც ხედავთ, ისევ ნაკრების წევრია.

ახალგალოთებული ტონი ადამსი კი ჰოდლის სიაში არაა. იგი ევროპის პირველობაზე ინგლისელთა კაპიტანი იყო. გასულ ოთხშაბათს, რვათვიანი შესვენების შემდეგ, პირველად ითამაშა „არსენალის“ სასტარტო შემადგენლობაში, მაგრამ მუხლი მაინც სტკივა. მისი ინგლისის ნაკრებს მიღმა დატოვება უფრო მუხლის ტრავმის ბრალია, ვიდრე ლოთობის.

ჰოდლს დებიუტანტიც ჰყავს. იგია „ლივერპულის“ მცველი დომინიკ მატეო, 21 წლამდე ნაკრების წევრი (3 მატჩი), რომელმაც მიმდინარე სეზონი ჩინებულად დაიწყო.

9 ოქტომბრის მეტოქეთა სიები ასეთია:

ინგლისი: დევიდ სიმენი (არსენალი), იან უოქერი (ტოტენჰემი), დევიდ ჯეიმსი (ლივერპული); გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), სტიუარტ პირსი (ნოტინგემ ფორესტი), გარი ნევილი, გარი პალისტერი (მანჩესტერ იუნაიტედი), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), დომენიკ მატეო (ლივერპული); პოლ ინსი (ინტერი), პოლ გესკოინი (რეინჯერსი), დევიდ ბექემი (მანჩესტერ იუნაიტედი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული), დევიდ ბეტი (ნიუკასლი), ენდი ჰინჩკლიფი (ევერტონი), დევიდ პლატი, პოლ მერსონი (არსენალი); ნიკ ბარმბი (მიდლსბრო), ალან შირერი, ლეს ფერდინანდი (ნიუკასლი), მეტიუ ლე ტისიე (საუთჰემპტონი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), რობი ფაულერი (ლივერპული).

პოლონეთი: მაცეი შჩესნი (ვიძევი), ანჯეი ვიზნიაკი (პორტუ), არკადიუშ ონიშკო (ლეხი); პაველ ვიოტალა (ვიძევი), იაცეკ ზელინსკი (ლეგია), ადამ ლედკონი, კაზიმეჟ გეგჟინი (გსკ), ტომაშ ჰაიტო (გურნიკი), პაველ სკჟიპეკო (რაკოვი), მარეკ იუზვიაკი (გინგამი), ტომაშ ვალდოხი (ბოხუმი); რადოსლავ მიხალსკი, რიშარდ ჩერვეცკი (ვიძევი), რიშარდ სტანეკი (ლეგია), პიოტრ ნოვაკი (მიუნხენ 1860), ეჟი ბუჟეკი (ტიროლი); მარეკ ციტკო (ვიძევი), ცეზარ კუხარსკი, მარტინ მეცელი (ლეგია), ბოგდან პრუსეკი (სოკოლი), მარეკ საგანოვსკი (ფეიენოორდი), კშიშტოფ ვარჟიხა (პანათინაიკოსი), ჰენრიკ ბალუშინსკი (ბოხუმი).

ამასობაში პოლონელებმა ამხანაგური შეხვედრა გამართეს. მათი მეტოქე იყო არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრები. ოთხშაბათს პოლონეთში გამართული ეს მატჩი, 35-ე წუთზე დარიუშ რჟეჟნიჩაკის მიერ გატანილი გოლის წყალობით მასპინძლებმა მოიგეს. თამაშს სულ 2 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

## ბროლინი შესაძლოა ლიდსს დაუბრუნდეს

შვედი ვარსკვლავი თომას ბროლინი ბოლოხანს თვალსაწიერიდან გაქრა. იგი „ციურიხში“ გამოდის. არადა, 10 თვის წინ „ლიდს იუნაიტედმა“ მის შესაძენად 4,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი არ დაინანა.

ბროლინს ლიდსში საქმე კარგად არ წაუვიდა, გახშირდა კამათი მწვრთნელ ჰოვარდ ვილკინსონთან და საბოლოოდ იქამდე მივიდა, რომ მოთამაშემ ზაფხულის შეკრებაზე გუნდთან ერთად ყოფნა არ ისურვა. გაბრაზებულმა ვილკინსონმა ბროლინი შვეიცარიელებს გადააბარა.

ახლა კი დროება იცვალა. ვილკინსონი „ლიდსის“ ხელმძღვანელი აღარაა და მის ნაცვლად ჯორჯ გრემი წვრთნის გუნდს. ამას ისიც დაემატა, რომ „იუნაიტედს“ ყველა თავდამსხმელი დაუშავდა. ბოლოს, კოკა-კოლას თასზე „დარლინგტონის“ წინააღმდეგ გრემი იძულებული შეიქნა ფორვარდად როდ უოლესი ეთამაშებინა, რადგან ტონი იებოა, ბრაიან დინი, იან რაში და მარკ ჰეიტლი ხელიდან გამოცალდნენ. ასეთ დროს გაახსენდათ თომას ბროლინი.

ბროლინის აგენტმა ლარს პეტერსონმა პრესას განუცხადა:

— თომასს კიდევ ორი კვირის მანძილზე მართებს „ციურიხში“ თამაში. ის ჯერ შორსაა საუკეთესო ფორმისგან და ალბათ ამ წუთას პრემიერლიგის დონისთვის მზად არაა. როგორც კი შვეიცარიულ გუნდთან ვადას ამოწურავს, ჯორჯ გრემს ესაუბრება. გრემზეა დამოკიდებული ბევრი რამ. კერძოდ, როგორი ყაიდის გუნდს უყრის საფუძველს, ან თომასის ძველ პრობლემებს როგორ მოაგვარებს. მწამს, რომ გადაუჭრელი არაფერია. მთავარია, რომ ლიგაში ახალი გარემო შეიქმნა.

## სოლსკიაერი პაპენია

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ზაფხულზე ოლე გუნარ სოლსკიაერი შეიძინა. ნორვეგიელი მოთამაშე 1,5 მილიონ გირვანქად ინგლისის ჩემპიონს „მოლდედან“ შეუერთდა. სხვათა შორის, სოლსკიაერი ზედ თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრის წინ გადავიდა ახალ კლუბში. სოლსკიაერი მანჩესტერს მოერგო და გოლი გოლზე გააქვს. 23 წლის ფეხბურთელმა ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაშიც იყოჩაღა — ვენის „რაპიდს“ შეუგდო.

— ის ძალიან ძლიერია. სწრაფად უღებს სიტუაციას ალღოს და ცივსისხლიანიც გახლავთ. სოლსკიაერი მე პაპენს მაგონებს. მისი მსგავსი მოთამაშის გუნდში ყოლა კი ფრიად მნიშვნელოვანია — თქვა კანტონამ.

— იგი ყოველ კვირას ძლიერდება — კმაყოფილია ალექს ფერგიუსონი — საოცარია, რომ ორი წლის წინ სოლსკიაერი ნორვეგიაში ისეთ დონეზე თამაშობდა, ინგლისის მესამე თუ მეოთხე ლიგას რომ შეეფერება. მისი ალმასვლის შემყურე ვფიქრობ, რომ კიდევ არ ვიცი, რას უნდა ველოდე. იმდენად სწრაფია, რომ სანამ სხვა ფეხბურთელები ფიქრობენ, მას მოფიქრებულიც აქვს და შესრულებულიც.

## სომხეთი

## „არარატ[illegible]“ ჩამ[illegible]

სომხეთში არეულობაა, ერევანში ტანკები დადიან, ხალხი მიტინგებს მართავს, მაგრამ სპორტი არ „გაჩერებულა“. საჭადრაკო ოლიმპიადაზე აღარას ვამბობ, აგერ, ჩემპიონატის მერვე ტურიც გაიმართა:

კოტაიკი — ერევანი 1:0, ცსკა — ზანგეზური 3:0, ცემენტი — არარატი 3:2, არაბკირი — ჰომენემენი 2:4, შირაქი — ყარაბახი 1:0, პიუნიკი — ვანი 3:0.

სომხეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 12-დან შვიდი გუნდი ერევნიდანაა. წელს მეხუთე ჩემპიონატი იმართება, წინა ოთხში ორჯერ გაიმარჯვა „პიუნიკმა“, თითოჯერ — „შირაქმა“ და „არარატმა“. თასი კი ხუთჯერ გათამაშდა და მას სამჯერ „არარატი“ დაეუფლა, თითოჯერაც „ბანანცი“ და „პიუნიკი“.

სომხეთის თასის მეექვსე გათამაშება 1 ოქტომბერს, მეთექვსმეტედფინალიდან დაიწყება. ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში კი რვა ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პიუნიკი** | 8 | 6 | 2 | 0 | 19:1 | 20 |
| **ერევანი** | 8 | 6 | 1 | 1 | 20:6 | 19 |
| **კოტაიკი** | 8 | 4 | 2 | 2 | 19:6 | 14 |
| **შირაქი** | 8 | 4 | 2 | 2 | 12:6 | 14 |
| **ცემენტი** | 8 | 4 | 2 | 2 | 14:11 | 14 |
| **არარატი** | 8 | 4 | 1 | 3 | 19:11 | 13 |
| **ვანი** | 8 | 4 | 0 | 4 | 14:12 | 12 |
| **ყარაბახი** | 8 | 3 | 2 | 3 | 10:10 | 11 |
| **ჰომენემენი** | 8 | 3 | 1 | 4 | 11:20 | 10 |
| **ცსკა** | 8 | 1 | 0 | 7 | 8:16 | 3 |
| **არაბკირი** | 8 | 1 | 0 | 7 | 6:35 | 3 |
| **ზანგეზური** | 8 | 0 | 3 | 5 | 4:22 | 3 |

საუკეთესო ბომბარდირი ცხრა გოლით „პიუნიკის“ თავდამსხმელი არსენ ავეტისიანია.

სომხეთის ფეხბურთის ფედერაციას კვლავაც „არარატის“ 70-იანი წლების მცველი არმენ სარქისიანი ხელმძღვანელობს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარუმატებლობა ნაკრების მთავარ მწვრთნელს სამველ დარბინიანს არ აპატიეს და მის ნაცვლად წლეულს ივნისში სომხეთის ალბათ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ხორენ ოგანესიანი დანიშნეს. სომხურ სათვისტომოებში ოგანესიანს ერთობ აფასებენ და მისი ნაკრების სათავეში მოსვლისთანავე გუნდს სამხრეთ ამერიკაში სამმატჩიანი ტურნე გაუხერხეს. სომხებმა პერუს ნაკრებთან 0:4 წააგეს, ეკვადორთან 0:3, პარაგვაელებს კი 2:1 მოუგეს. ოგანესიანის მუშაობამ შედეგი გამოიღო და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში სომხებმა პორტუგალიასთან შინ სენსაციური ფრე — 0:0 ითამაშა.

**მამუკა კვარაცხელია**


**იყიდება**

კეთილმოწყობილი, გარემონტებული, მანსარდიანი

**კერძო სახლი**

გლდანის რაიონში, 150 კვ. მ საერთო ფართით, 1000 კვ. მ ეზოთი, ყოველგვარი ხეხილით.

ფასი შეთანხმებით.

ტელ.: 95 05 57

თუ გსურთ დაეუფლოთ შიშველი ხელით თავდაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებას

**აიკიდოს**

მიმართეთ საქართველოს აიკიდოს ფედერაციას მისამართზე:

- ძმები გარიშვილების ქ. №8 (მეტრო გურამიშვილთან)
- თ.ს.უ.-ს II კორპ., ტანვარჯიშის დარბაზი.

ტელ.: 62 28 64

გიწვევთ სამუშაოდ საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლში სხვადასხვა პროფილის ხელოსნებს.

მისამართი: გურამიშვილის გამზ. 33.

ტელეფონები: 22 53 12, 61 66 88

**აბრამ ბაზელის მოდების სახლი**

მანეკენების მოსამზადებელი სტუდია აგრძელებს გოგონებისა და ვაჟების მიღებას 6 წლის ასაკიდან



მისამართი:
რუსთაველის 2,
გრიბოედოვის თეატრის შენობაში, ოთახი №195
ტელეფონი: 29-16-72, 37-58-88

მიღების დღეები:
ორშაბათი: 15-19 სთ
ოთხშაბათი: 15-19 სთ
ხუთშაბათი: 15-19 სთ
შაბათი: 12-16 სთ

# სარბიელი


## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. მეშვიდე ტური

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი — ზანქტ პაული | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ჰამბურგი — დუისბურგი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| შალკე — ლევერკუზენი | 1,7 | 2,9 | 3,2 |
| ფრაიბურგი — ჰანზა | 2,0 | 2,6 | 2,8 |
| მიუნხენ 1860 — შტუტგარტი | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| ფორტუნა — მიონხენგლადბახი | 1,9 | 2,8 | 2,8 |

29 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვერდერი — ბაიერნი | 2,5 | 2,5 | 2,2 |

### გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა. მერვე ტური

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი — ლიუბეკი | 1,15 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| კიკერსი — მეპენი | 1,7 | 2,7 | 3,4 |

29 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — მანჰაიმი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| უნტერჰახინგი — ფორტუნა (კიოლნი) | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| გიუტერსლოო — როტ ვაისი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| ლაიფციგი — კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 2,5 | 2,2 |

30 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერტა — ოლდენბურგი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. მერვე ტური

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — სანდერლენდი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ჩელსი — ნოტინგემი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ქოვენთრი — ბლექბერნი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| დერბი ქაუნთი — უიმბლდონი | 1,7 | 3,0 | 3,1 |
| ევერტონი — შეფილდ უენსდეი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ლესტერ სიტი — ლიდსი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| საუთჰემპტონი — მიდლსბრო | 2,7 | 2,7 | 2,0 |

29 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნაიტედი — ტოტენჰემი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ვესტ ჰემი — ლივერპული | 3,3 | 2,8 | 1,7 |

30 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუკასლი — ასტონ ვილა | 1,3 | 3,0 | 6,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. მეცხრე ტური

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი — იფსვიჩი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| სვინდონი — ვულვერჰემპტონი | 2,2 | 2,5 | 2,5 |
| შეფილდ იუნაიტედი — მანჩესტერ სიტი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| პორტ ვეილი — ბრედფორდი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ჰადერსფილდი — რედინგი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ბარნსლი — გრიმსბი | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,35 | 3,4 | 3,6 |
| ბირმინგემი — ქუინზ პარკი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ბოლტონი — სტოკ სიტი | 1,35 | 2,9 | 6,0 |
| ჩარლტონი — ოლდემი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| კრისტალ პალასი — საუთენდი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ოქსფორდი — პორტსმუთი | 1,6 | 3,0 | 3,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. მეოთხე ტური

29 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ინტერი | 2,6 | 2,6 | 2,1 |
| იუვენტუსი — ფიორენტინა | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ლაციო — პარმა | 1,7 | 2,6 | 3,6 |
| მილანი — პერუჯა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| პიაჩენცა — ვიჩენცა | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| რეჯანა — რომა | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| სამპდორია — ნაპოლი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| უდინეზე — ბოლონია | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ვერონა — კალიარი | 1,9 | 2,7 | 2,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. მეოთხე ტური

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პესკარა — ბრეშია | 1,35 | 2,8 | 6,5 |

29 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — რეჯანა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ჩეზენა — ჯენოა | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| პალერმო — დი სანგრო | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| კოზენცა — კიევო | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| კრემონეზე — რავენა | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ემპოლი — ტორინო | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ფოჯა — პადოვა | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| ლუკეზე — სალერნიტანა | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ვენეცია — ლეჩე | 2,5 | 2,5 | 2,2 |


ეროვნული ბიბლიოთეკა


### ესპანეთის ჩემპიონატი. მეხუთე ტური

28-30 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოგრონიესი — სევილია | 1,9 | 2,7 | 2,9 |
| კომპოსტელა — ვალენსია | 2,1 | 2,6 | 2,6 |
| ტენერიფე — სპორტინგი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| სარაგოსა — ბარსელონა | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| სოსიედადი — ვალიადოლიდი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| რასინგი — ბილბაო | 1,45 | 2,9 | 4,7 |
| ესპანიოლი — ესტრემადურა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ატლეტიკო — ერკულესი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ოვიედო — რეალი | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| რაიო ვალეკანო — სელტა | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| ბეტისი — დეპორტივო | 1,4 | 3,0 | 5,0 |

### რუსეთის ჩემპიონატი. 29-ე ტური

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩერნომორეცი — ბალტიკა | 1,7 | 2,9 | 3,2 |
| როტორი — ჟემჩუჟინა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ცსკა — ზენიტი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ლადა — როსტსელმაში | 1,45 | 3,2 | 4,0 |
| ტექსტილშჩიკი — ტორპედო | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ლოკომოტივი (ნიჟნი ნოვგოროდი) — დინამო | 3,8 | 3,1 | 1,5 |
| კრილია სოვეტოვი — კამაზი | 1,5 | 3,1 | 3,8 |
| სპარტაკი — ურალმაში | 1,1 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |

29 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი (მოსკოვი) — ალანია | 2,1 | 2,6 | 2,6 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. მეშვიდე ტური

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანდი იუნაიტედი — აბერდინი | 2,1 | 2,7 | 2,5 |
| დანფერმლაინი — რეით როვერსი | 1,35 | 2,9 | 6,0 |
| ჰიბერნიანი — ჰართსი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| მოზერველი — კილმარნოკი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| რეინჯერსი — სელტიკი | 1,6 | 2,9 | 3,6 |

### სხვადასხვა ქვეყნების ჩემპიონატები

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფენერბაჩე — ანთალიასფორი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| სტანდარდი — მეხელენი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ანტვერპენი — ლოკერენი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| გენტი — სერკლ ბრიუგე | 1,1 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| არაუ — სიონი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ლუგანო — ქსამაქსი | 3,2 | 2,9 | 1,7 |
| ლუცერნი — ბაზელი | 1,5 | 2,8 | 4,4 |

29 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დარდანელსფორი — ბეშიქთაში | 8,0 | 3,8 | 1,15 |
| გენჩერბირლიგი — გალათასარაი | 6,5 | 3,3 | 1,25 |
| ვიტესი — ფეიენოორდი | 3,0 | 2,6 | 1,9 |
| ტვენტე — აიაქსი | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| სპარტა — ნიიმეგენი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ბრიუგე — ეკერენი | 1,1 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| უტრეხტი — ეინდჰოვენი | 5,0 | 3,0 | 1,4 |

**ტურში გატანილი გოლების რაოდენობა**

ინგლისი. 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9

იტალია. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9

ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ.**

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე**

## კალათბურთი

ევროპის თასი. III ტური

### ვითა (თბილისი, საქართველო) — რიელო (ვერონა, იტალია)

თბილისი. სპორტის სასახლე. 1 ოქტომბერი. 19 საათი

„ვითას" მორიგი მეტოქე იტალიის იმ ქალაქიდანაა, რომელსაც კაცობრიობა რომეოსა და ჯულიეტას ტრაგიკული რომანით იცნობს. კლუბი „რიელო" 1951 წელს დაარსდა. იტალიის ჩემპიონატში საუკეთესო შედეგს 1994 წელს მიაღწია, როცა მე-4 ადგილზე გავიდა. 1991 წელს ვერონელებმა იტალიის თასი მოიგეს. ევროთასებზე წლეულს მესამედ გამოდიან. აქამდე ორივეჯერ კორაჩის თასზე იასპარეზეს და 1992 წელს ნახევარფინალშიც გააღწიეს. გუნდს ორი სპონსორი ჰყავს „მაშ ჯინსი" და „რიელო". ამიტომაც ვერონელთა გუნდს ხან ერთი, ხან კი მეორე სპონსორის სახელით მოიხსენიებენ ხოლმე. ორი წლის წინათ კი მას „გლაქსო" ერქვა.

„რიელო" ჩვენი ჯგუფის აშკარა ფავორიტია, რაც საწყის ტურებში დაამტკიცა კიდეც — მარტო მან მოიგო ორივე მატჩი. იტალიის ჩემპიონატის პირველ ტურში, 22 სექტემბერს „რიელო" შინ დამარცხდა ტრევიზოს „ბენეტონთან" — 89:91. მეორე ტურში, ხვალ ვერონელები „ფორლის" უმასპინძლებენ.

#### „რიელოს" სეზონისწინა განაცხადი

| მოთამაშე | ამპლუა | სიმ. | დაბ. | ნაკ. | თამ. | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4 როდოლფო რომბალდონი | გამთამაშებელი | 190 | 1976 | 1 | 26 | 24 |
| 5 ერის რიგეტო | მსროლელი | 194 | 1972 | 1 | 28 | 96 |
| 6 ანიელო ლაეცა | მსროლელი | 188 | 1973 | 3 | 103 | 255 |
| 7 ალესანდრო ბონი | ცენტრი | 205 | 1964 | 14 | 458 | 3088 |
| 8 ალფიერო პერბელინი | ცენტრი | 208 | 1971 | 4 | 80 | 28 |
| 9 რობერტო დალა ვეკია | ფორვარდი | 206 | 1964 | 9 | 307 | 1856 |
| 10 სებასტიან ნილი | ფორვარდი | 198 | 1969 | — | — | — |
| 11 ჯაკომო გალანდა | ცენტრი | 210 | 1975 | 2 | 71 | 280 |
| 12 მატეო ნობილე | ფორვარდი | 207 | 1973 | 4 | 78 | 315 |
| 13 დავიდ ლონდერო | გამთამაშებელი | 186 | 1971 | 8 | 236 | 1604 |
| 14 ფაბიო კოზა | ფორვარდი | 200 | 1975 | 1 | 18 | 20 |
| 15 რაიან ლორთრიჯი | მსროლელი | 194 | 1972 | — | — | — |
| 16 მაიკ ლუზოლინო | გამთამაშებელი | 180 | 1968 | — | — | — |

მწვრთნელი: კარლო მარჩელეტი, თანაშემწე: ანდრეა მაცონი

## ევროლიგა

II ტური. 26 სექტემბერი

A ჯგუფი

მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) — ცსკა (რუსეთი) 77:78; ულქერი (თურქეთი) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 87:69; ლიმოჟი (საფრანგეთი) — სტეფანელი (იტალია) 74:85

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტეფანელი | 2 | 2 | 0 | 158:141 | 4 |
| ულქერი | 2 | 1 | 1 | 154:132 | 3 |
| მაკაბი | 2 | 1 | 1 | 146:140 | 3 |
| ცსკა | 2 | 1 | 1 | 145:149 | 3 |
| პანიონიოსი | 2 | 1 | 1 | 141:154 | 3 |
| ლიმოჟი | 2 | 0 | 2 | 136:154 | 2 |

B ჯგუფი

შარლერუა (ბელგია) — ციბონა (ხორვატია) 73:77; ალბა (გერმანია) — ესტუდიანტესი (ესპანეთი) 78:79; ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ტიმსისტემი (იტალია) 96:80

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ციბონა | 2 | 2 | 0 | 158:139 | 4 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 1 | 160:147 | 3 |
| ალბა | 2 | 1 | 1 | 145:143 | 3 |
| ესტუდიანტესი | 2 | 1 | 1 | 145:159 | 3 |
| ტიმსისტემი | 2 | 1 | 1 | 167:174 | 3 |
| შარლერუა | 2 | 0 | 2 | 151:164 | 2 |

C ჯგუფი

ოლიმპია (სლოვენია) — ბაიერი (გერმანია) 86:70; კროაცია (ხორვატია) — ვილერბანი (საფრანგეთი) 73:61; ბარსელონა (ესპანეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 77:58

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 152:123 | 4 |
| კროაცია | 2 | 1 | 1 | 138:136 | 3 |
| პანათინაიკოსი | 2 | 1 | 1 | 133:144 | 3 |
| ოლიმპია | 2 | 1 | 1 | 153:145 | 3 |
| ვილერბანი | 2 | 1 | 1 | 140:139 | 3 |
| ბაიერი | 2 | 0 | 2 | 136:145 | 2 |

D ჯგუფი

პარტიზანი (იუგოსლავია) — ეფეს პილზენი (თურქეთი) 76:72; დინამო (რუსეთი) — ვირტუსი (იტალია) 64:78; ელან ბერნე (საფრანგეთი) — კახა სან-ფერნანდო (ესპანეთი) 85:79

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 2 | 1 | 1 | 147:136 | 3 |
| ელან ბერნე | 2 | 1 | 1 | 150:149 | 3 |
| კახა | 2 | 1 | 1 | 151:152 | 3 |
| პარტიზანი | 2 | 1 | 1 | 143:144 | 3 |
| ვირტუსი | 2 | 1 | 1 | 138:139 | 3 |
| დინამო | 2 | 1 | 1 | 134:143 | 3 |

თანაბარქულიანი გუნდების ადგილების განაწილების უპირატესობა ენიჭება ერთმანეთთან შეხვედრებში ჩაგდებული და მიღებული ბურთების სხვაობას

## ევროპის თასი

II ტური. 25 სექტემბერი

D ჯგუფი

ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — პსჟ რასინგი (საფრანგეთი) 80:74; აპოელი (კვიპროსი) — ნიუ-ვეივი (შვედეთი) 74:60

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 2 | 2 | 0 | 176:136 | 4 |
| ჰაპოელი | 2 | 2 | 0 | 162:152 | 4 |
| პსჟ | 2 | 1 | 1 | 180:142 | 3 |
| აპოელი | 2 | 1 | 1 | 136:166 | 3 |
| ჰიგენი | 2 | 0 | 2 | 148:170 | 2 |
| ნიუ ვეივი | 2 | 0 | 2 | 126:162 | 2 |

## ბელადი ჩიკაგოში გადაბრძანდა

ცენტრი რობერტ პერიში, მეტსახელად ბელადი, ხუთშაბათს „ჩიკაგო ბულზში" გადავიდა. იგი თავისუფალი აგენტი იყო და „ჩიკაგოსთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ბელადი 43 წლისაა და ნოემბერში ნბა-ში 21-ე სეზონს დაიწყებს. ეს ლიგის რეკორდია. ერთით ნაკლები სეზონი აქვს ნათამაშები ქარიმ აბდულ-ჯაბარს. პერიშს ნბა-ს კიდევ ერთი რეკორდი ეკუთვნის — მასზე მეტჯერ არავის უთამაშია — 1568 მატჩი. რვა თამაშით ნაკლები აქვს იმავე აბდულ-ჯაბარს. ბელადი მეცამეტე ადგილზეა ნბა-ში დაგროვებული ქულებით — 23 173.

214 სანტიმეტრიანი პერიში ნბა-ში 1976 წელს მოვიდა. დრაფტის პირველ წრეში იგი „გოლდენ სტეიტ ვორიორზმა" ამოირჩია. ამ კალიფორნიულ გუნდში ბელადმა ოთხი სეზონი ითამაშა და მერე „ბოსტონ სელტიქსში" გადავიდა. ლარი ბერდის და კევინ მაკჰეილის მხარდამხარ იგი სამჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი. ბოლო ორი წელიწადი „შარლოტ ჰორნეთსში" გაატარა.

„ჩიკაგოს" ხელმძღვანელები კმაყოფილნი არიან ახალი შენაძენით. „მას ბევრ ახალგაზრდა მოთამაშეზე სწრაფი ფეხები აქვს" — განაცხადა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ჯერი კრაუზემ. „პერიშის გამოცდილება და ჩვევები ძალიან გამოგვადგება" — ეს მთავარი მწვრთნელის ფილ ჯექსონის აზრია.

თავად ბელადიც არაა უკმაყოფილო: „მე დიდ გუნდში გადავედი. წარსულშიც ვიყავი დიდი გუნდების წევრი, ასე რომ, ვიცი, რასაც ნიშნავს ეს. ჯერ კიდევ გამაჩნია ბრძოლის ჟინი და ხარებს მორიგი ჩემპიონობის მოპოვებაში დავეხმარები. მოხარული ვიქნები, თუ კი ჯექსონი რამდენიმე წუთით მოედნზე შემიშვებს ხოლმე".

მაგრამ პერიში სასტარტო ხუთეულში არ ითამაშებს. როგორც ითქვა, „ჩიკაგოს" ძირითადი ცენტრი კვლავ ლუკ ლონგლი იქნება.

ამასობაში „ჩიკაგომ" კიდევ ერთ თავისუფალ აგენტთან დადო კონტრაქტი. უფრო სწორად, განაახლა. ჯოდ ბიუჰლერი კვლავ ამ გუნდში იქნება, ოღონდ პირობებზე არაფერს იტყობინებიან. შარშან ბიუჰლერმა 74 მატჩი ითამაშა „ბულზში": მოედანზე საშუალოდ 10 წუთს იმყოფებოდა და 3,8 ქულას აგროვებდა. „იგი ბრწყინვალე სათადარიგოა, რომელიც ყოველწლიურად უმატებს და ძალიან დაგვეხმარა ჩემპიონობის მოპოვებაში. მისი საქმისადმი დამოკიდებულება, ზრდილობა, ფიზიკური და გონებრივი მონაცემები შესანიშნავია" — თქვა ჯერი კრაუზემ.

## რაგბი

### ძველი მეტოქეების ომს ფრანგი განსჯის

ფრანგი მესიე, გვარად ბარაბ-ი დაინიშნა საქართველო — რუსეთის მატჩის მსაჯად. თამაში თბილისში გაიმართება კვირას, 20 ოქტომბერს.

საქართველოს XXIX პირველობა

ექვსეულის პირველი ტური

ხუთშაბათი, 26 სექტემბერი

ვაკე

**ქორები 13:12 ყოჩები**

(6:9). მსაჯი (დრო): პაატა ნარიმანაშვილი (41 + 42)

ქორები: ასათიანი; სიხარულიძე, ალანია, ჩხენკელი, ვაშაძე (ძნელაძე, 49, დროებით); ჩავლეიშვილი, კვინიხიძე; ცქიტიშვილი (კვანტალიანი, 77), ჯაფარაშვილი (ირემაძე, 42), მაჭუტაძე (გააძევეს, 79); კაცაძე, ხუადე (კახიანი, 61); დგებუაძე, ვართანიანი (ჩადუნელი, 82), გ. გიუნაშვილი. — ლ: მაჭუტაძე (50); გ და ს (29): კვინიხიძე; ა (19): ჩავლეიშვილი

ყოჩები: ენუქიძე (დუგლაძე, 57, დროებით); ლიპარტელიანი, საკანდელიძე, ბარძიმიშვილი, ნიკლაური; ტეფნაძე, გიორხელიძე; ჩაქავა, ჭავჭავაძე (ჩიქოვანი, 49), ახვლედიანი; სულთანიშვილი, გუშარაშვილი (ა. ჭელიძე, 70); ლეჟავა, ურუშაძე, ტყეშელაშვილი. — 4ს (9, 26, 34, 43): ტეფნაძე

რუსთავი. ჭყონდიდლის დასახლება

**აზოტი 6:24 გუმარი**

მსაჯი გოჩა აბაშიძე

აზოტი — 2ს: გოგიშვილი

გუმარი — 3ლ: ბუგიანიშვილი - 2, პარნიკანაშვილი; 3გ: მოდებაძე; ს: მაჩიტიძე

ქუთაისი. დინამოს სტადიონი

**გელათი 38:41 აია**

(17:22). მსაჯი ლევან მგელაძე

გელათი — 5ლ: შერვაშიძე, კუხალეიშვილი, ბ. ძაგნიძე, აბაშიძე, გ. ლილუაშვილი; 5გ და ს: ზ. შვანგირაძე

აია — 6ლ: გორგიძე, ნ. ძაგნიძე - 2, აბდალაძე - 2, ჩუბინიძე; 4გ: ნ. ძაგნიძე - 3, გეგუჩაძე; ს: ნ. ძაგნიძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუმარი | 16 | 14 | 0 | 2 | 509:157 | 73-12 | 28 |
| ყოჩები | 16 | 13 | 0 | 3 | 502:130 | 70-10 | 26 |
| ქორები | 16 | 11 | 0 | 5 | 337:140 | 42-10 | 21 |
| აია | 16 | 9 | 0 | 7 | 392:207 | 50-23 | 17 |
| გელათი | 16 | 6 | 1 | 9 | 238:397 | 19-57 | 13 |
| აზოტი | 16 | 5 | 1 | 10 | 151:372 | 17-55 | 10 |

მორიგ ტურში, ორშაბათს თამაშობენ: აზოტი — ქორები, ყოჩები — გელათი და აია — გუმარი

### ყველაფერს ბესოს დააბრალებენ

პრალაში „ბორჯღალოსნების" გამარჯვებასა და გამოდარებას მოყვა ის, რომ XVI ტურის თამაშთა-თამაშს ბევრი მაყურებელი დაესწრო.

უეჭველია, რომ ხალხმა ისიამოვნა კარგი, ბარაქიანი რაგბით და ამაღელვებელი სანახაობით, რაგბის კავშირის მოხელეებსა და მატჩის მონაწილეებს კი აშკარად ზედმეტი გარჯა მოუწიათ. საქმე ისაა, რომ თუმც სტადიონის გამო ამტყდარი „ვაკური ომი" მინავლდა, სტატუს-ქვოს აღდგენას ჯერ კიდევ ბევრი უკლია. სექტემბერში ლამის წესად იქცა, რომ თავად მორაგბეებს უნდა მოეხსნათ და მოედნიდან გაეტანათ ფეხბურთის კარები, გუშინწინ კი ამას კიდევ ორი პროცედურა დაემატა: ერთი, რომ რაგბის ან უკვე დანჯღრეული და შეკოწიწებული კარები თავად მოთამაშეებმა წამომართეს, მსაჯმა კი, ვინაც იქეთა კვირაში ლიტვაში მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩის არბიტრი იქნება, სახტომი ორმოებიდან პეშვებით ზიდა ქვიშა და თავად დახაზა ოთხივე ლელოს კიდე — სულ 40 მეტრი, რაკი სტადიონის მუშაკებს, ეტყობა, ნოვატორობის ჟია შეუჩნდათ და ესოდენ საჭირო საზღვარი აღარ გაავლეს.

„ყოჩები" თუმც ლიდერები იყვნენ, წინა ორ თამაშში ერთობ გაჭირვებოდათ „ქორებთან" შერკინება: ერთი მატჩი ბოლოსლა მოეგოთ, მეორე კი მცირედით წაეგოთ. ვითარება არც ამჯერად შეცვლილა — მინიმალური უპირატესობით „ქორებმა" გაიმარჯვეს და ლიდერებს ოდნავ წამოეწივნენ.

შესვენებამდე „ყოჩებს" საქმე კარგად წაუვიდათ — სამჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ მაშინვე ჩანდა, რომ „ქორები" იოლად არაფერს დათმობდნენ. თემურ ბენდიაშვილის აღზრდილთა და ალსაზრდელთაგან გამოირჩეოდნენ ძველები — გია გიუნაშვილი, რეზო ჯაფარაშვილი, დათო ვართანიანი, ლაშა ვაშაძე, თამაზ ხუადე, დათო ჩავლეიშვილი და კიდევ ნორჩი გიორგი ასათიანი, იშვიათი ალღოს პატრონი რომაა. გიუნაშვილი შერკინების აშკარა ლიდერი იყო, ჩავლეიშვილმა კი ცბიერი ტაქტიკოსისა და მწვავედ მობურთალის რეპუტაცია ამ ერთხელაც დაამტკიცა.

მეორე ნახევარი იმით დაიწყო, რომ „ყოჩები" მეტად, 12:6 დაწინაურდნენ, მერე კი გიორხელიძისა და ლიპარტელიანის წამოწყებული იერიში შეუფერხდათ და ნალდი ლელო ვერ გაიტანეს. ამ დროს დაუშავდათ კვაჭი ნიკო ჭავჭავაძე, დამრტყმელ ბესო ტეფნაძეს კი შუა ხაზიდან დარტყმა ერთობ უხეირო გამოუვიდა. ამ მომენტს დაემთხვა გარდატეხა. ჩავლეიშვილის, ვართანიანისა და ვაშაძის გადასარევი ბურთაობის შემდეგ მაჭუტაძემ ახლოდან გაიტანა ძალისმიერი ლელო, გარდასახვის შედეგად კი „ქორები" პირველად გავიდნენ წინ 13:12.

ამ დროს თამაშის დამთავრებამდე ნახევარი საათი რჩებოდა, ლიდერებს კი ყველაფერი აერიათ. ჩავლეიშვილმა ეს მომენტი კარგად დაიჭირა და უამრავჯერ დაურტყა ბურთი მეტოქის მცველებს (15, 14, 11), ამათ კი ისეთი ავანტურები გააჩაღეს, რომ „ყოჩები" რამდენჯერმე თავად გადაურჩნენ ლელოს გაშვებას.

და მაინც, ერთი-ორჯერ ჩიქავამ ითამაშა სწორად, სხვა დროს — გიორხელიძემ. ყველაფერ ამას საჯარიმოები მოყვა, რომლებიც ველარ შეაგდო ტეფნაძემ. მანვე ბოლო წუთზე ძალიან შორიდან არეკნი სცადა, მაგრამ კარს ვერ უწია. არადა, ბესოს რომელიმე დარტყმით გოლი რომ გაეტანა, „ყოჩები" ყოველად დაუმსახურებლად გაიმარჯვებდნენ, ახლა კი მარცხს ალბათ დამრტყმელს დააბრალებენ.

„ქორები" და „ყოჩები" ახალ წლამდე კიდევ სამჯერ შეიბმებიან. მათი შემდეგი შეხვედრა 29 ოქტომბერს გაიმართება. უეჭველია, რომ კვლავ კარგი სეირი გველის.

აი, ასე ურტყა ბესო ტეფნაძემ




ჩაინიშნა გოჩა ლაბაძემ

## ილგაუსკასმა ფეხი მოიტეხა...

„კლივლენდ კავალიერზის" ლიტველმა ცენტრმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა თავისი ახალი კლუბის საჩვენებელ მატჩზე მარჯვენა ფეხი მოიტეხა. 219-სანტიმეტრიანი ილგაუსკასი დრაფტში მე-20 ნომრად ამოირჩიეს და მას შემდეგ გაუფორმეს კონტრაქტი, რაც „კლივლენდის" ვეტერანმა ცენტრმა ბრედ დოჰერტიმ ზურგის ქრონიკული ტრავმის გამო კალათბურთს თავი დაანება. ასევე ტრავმის გამო შეეშვა თამაშს „კავალიერზის" კიდევ ერთი ვეტერანი ლარი ნენსი. მარკ პრაისი კი, ვინც კლივლენდიდან „გოლდენ სტეიტში" გადავიდა, მთელი კარიერის მანძილზე ებრძვის მუხლის და ფეხის ტრავმებს. ახლა „კლივლენდში" გაჩენილი „ტრავმების სენი" ვეტერანებიდან ახალგაზრდებსაც გადმოსწვდა. ილგაუსკასს ფეხი თაბაშირში აქვს და ერთხანს დასვენება მოუწევს.

## ოლ-სტარი-98 ნიუ-იორკში

1998 წლის ოლ-სტარს ნიუ-იორკი უმასპინძლებს. ასე გადაწყვიტა ნბა-ს სამდივნომ ხუთშაბათს. „ნიუ-იორკ ნიქსი" და „მედისონ სქვერ გარდენი" ამაყობენ, რომ ოლ-სტარი ჩვენთან გაიმართება. ასეც უნდა იყოს: მსოფლიოს ყველაზე დიდი ქალაქის ყველაზე დიდმა დარბაზმა კალათბურთის ყველაზე დიდ ზეიმსაც უნდა უმასპინძლოს" — თქვა „ნიუ-იორკ ნიქსის" პრეზიდენტმა და „მედისონ სქვერ გარდენის" ერთ-ერთმა თანამფლობელმა დევიდ ჩიკეტსმა.

იმასლა დავძენთ, რომ „გარდენი" 117 წლის დარბაზია, ხოლო 1997 წლის ოლ-სტარი კლივლენდის „განდ არენაში" გაიმართება.

## ყრილობათა განრიგი

ატლანტის ოლიმპიური თამაშების შემდეგ საქართველოს სპორტის ოლიმპიური სახეობების ფედერაციებს მორიგი ყრილობების ჩატარება დაევალათ. გაცნობეთ ყრილობების გამართვის თარიღებს, რომლებიც სპორტის დეპარტამენტმა მოგვაწოდა:

29 სექტემბერი — ჩოგბურთი; 5 ოქტომბერი — ძალოსნობა; 23 ოქტომბერი — ძიუდო; 24 ოქტომბერი — კრივი; 25 ოქტომბერი — მძლეოსნობა; 26 ოქტომბერი — კეტბურთი; 27 ოქტომბერი — ფრენბურთი (გამგეობის გაფართოებული სხდომა); 28 ოქტომბერი — ბალახის ჰოკეი; 28 ოქტომბერი — ველოსპორტი; 29 ოქტომბერი — სროლა; 30 ოქტომბერი — ჭიდაობა; 31 ოქტომბერი — ცხენოსნობა და თანამედროვე ხუთჭიდი; 1 ნოემბერი — ტანვარჯიში; 5 ნოემბერი — ნიჩბოსნობა; 6 ნოემბერი — საწყლოსნო სპორტის სახეობები; 7 ნოემბერი — ფარიკაობა; 8 ნოემბერი — ხელბურთი; დანარჩენი სახეობების ფედერაციები ყრილობებს არ ატარებენ.

ძვირფასო სპორტსმენებო

ფირმა „ჰერბალაიფის" დამოუკიდებელი დისტრიბუტერი გთავაზობთ წონის კორექციას სპეციალურად თქვენთვის შერჩეული პროგრამით. გაიჯანსაღეთ სხეული, დაიმშვენეთ იგი შესანიშნავი ფრანგული კოსმეტიკით. გაახარეთ გულისსწორი ფრანგული სუნამოებით.

მხოლოდ ჩვენთან!

დარეკეთ: 95-49-29

დილას და საღამოს

## ჭადრაკი

### ცოტა დაისვენეს

ხუთშაბათს, ერევანში, საჭადრაკო ოლიმპიადის მე-10 ტურში საქართველოს ქალთა ნაკრებმა ფრედ ითამაშა რუმინელებთან 1,5:1,5. ეს შედეგი იმანაც განაპირობა, რომ მეშვიდე ტურიდან დაწინაურებული ჩვენი გუნდი ტურიდან ტურამდე ზრდის სხვაობას მასსა და მდევრებს შორის და ამიტომ ჩვენები ზედმეტ რისკს მოერიდნენ: ჩიბურდანიძე დაუზავდა ჰექტას, იოსელიანი — რადუს, არახამია — რასუს. საქართველოს ნაკრების 23 ქულა გაუხდა და ახლა სამი ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ რუსეთის გუნდს, რომელმაც ამ ტურში ლიტველებს მოუგო 2,5:1,5. ისრაელმა აჯობა უკრაინას 2,5:1,5 და ახლა ამათთან და ინგლისელებთან ერთად 19,5-19,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს იყოფს. აქედანაც ჩანს, რომ მწვავე ბრძოლა მხოლოდ მეორე ადგილისთვის იქნება.

ასეთივე გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს ვაჟთა ტურნირსაც. რუსეთისა და ბოსნია- ჰერცოგოვინის მე-10 ტურის შეხვედრა ფრედ — 2:2 დასრულდა და რუსებს 29 ქულა გაუხდათ. ჩვენი ვაჟები ირლანდიელებს შეხვდნენ: გიორგაძემ გაიმარჯვა ჰარლაფსონთან, დანარჩენი სამი შეხვედრა: აზმაიფარაშვილი — პეტურსონი, ზაიჩიკი — სტეფანსონი, სუპატაშვილი — გუდიონსონი ყაიმით დამთავრდა. ჩვენი გუნდი 24,5 ქულით მე-7-მე-11 ადგილებს იყოფს. გუშინ ოლიმპიადაზე დასვენების დღე იყო.

გიორგი ჯანდიერი
ერევნიდან

# ჩოგბურთი

## პანტა-პუნტით

ბაზელში შვეიცარიის ჭერქვეშა პირველობა მიმდინარეობს. მასში დიდი ხნის უქმობის შემდეგ ჩაება გერმანელი ბორის ბეკერი (4), ვინაც სამშაბათს 6:1, 5:7, 6:3 აჯობა მსოფლიოს 36-ე ჩოგანს, ჩეხ ბოჰდან ულიხრაჰს, მაგრამ ხუთშაბათს გავარდა, როცა 3:6, 6:7 (4-7) წააგო ასევე ჩეხ ირჟი ნოვაკთან, მსოფლიოში 45-ე მოთამაშედ რომ ითვლება.

გერმანელ ვარსკვლავს წლევანდელი უიმბლდონის მესამე წრეში მაჯის მყესი გაუწყდა, ამ ორი კვირის წინ კი ბუქარესტში იგი ისევ იტკინა. ბორისი ამჯერად მეორე ხელს 2:5 აგებდა, მაგრამ ბოლომდე იბრძოლა და ხუთ მატჩ-პოინტს დაუძვრა, თუმც თაი-ბრეიქში მაინც წააგო.

ბეკერის გარდა შვეიცარიაში სხვა ბობოლებიც შეკრებილან, რასაც დიდად შეეწია ერთ მილიონ დოლარიანი საპრიზო ფონდი. აშშ-ის პირველობაზე გამარჯვებულმა პიტ სამპრასმა (1) პირველი თამაში ოთხშაბათსღა გამართა ჯეელ გერმანელ ალექს რადულესკუსთან და 5:7, 6:3, 7:5 სძლია, ხუთშაბათს კი კიდევ უფრო უმცროსი, 18 წლის გერმანელი თომი ჰაასი 6:4, 2:6, 6:3 გააგდო. სამპრასს აშკარად ეტყობოდა, რომ ამსიგრძე — ორკვირიანი დასვენება ვერ მოხდენია.

ოთხშაბათსვე განთესილები პანტა-პუნტით გაცვივდნენ. გორან ივანიშევიჩს (ხორვატია, 2) 7:6 (7-3), 6:4 მოუგო გერმანელმა დავიდ პრინოზილმა. ფიცხმა გორანმა მარცხი იმით ახსნა, რომ, თურმე ნუ იტყვით, ვერ შეწყობია კორტების სინთეტურ საფარს.

გორანამდე თომას ენკვისტს (შვედეთი, 5) 6:1, 7:6 (7-2) მოუგო 216-ე ჩოგანმა, ფრანგმა ოლივიე დელეტრმა; 54-ე ჩოგანმა, შვედმა იონას ბიორკმანმა გაისტუმრა მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია, 7) 6:1, 4:6, 7:5, ხოლო გერმანელი მიხაელ შტიხი (8) თანამემამულე ჰენდრიკ დრიკმანმა (49-ე) 6:7 (4-7), 6:4, 6:1 დაამარცხა. სამაგიეროდ, რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა (3) მოუგო ბაზელელ მარკ როსეს 6:3, 6:7 (6-8), 6:3 და მეორე წრეში გავიდა, სადაც ხუთშაბათს ფრანგ ლიონელ რუს 4:6, 6:3, 6:4 აჯობა და სამპრასის დარად მეოთხედფინალს უწია.

გავარდა ბაზელის ტურნირების სამგზის გამარჯვებული, შვედი ვეტერანი სტეფან ედბერგიც (6). მას 7:6 (9-7), 6:2 მოუგო გერმანელმა მარკ გელნერმა. ამის გამო შეჯიბრს განთესილთაგან მარტო სამპრასი და კაფელნიკოვი შემორჩნენ.

## ბრაზილია იქეთ უტევს



მას აქეთ, რაც შაბათს სან-პაულუს „ტრანს-ამერიკა პოტელში" დევისის თასის ბრაზილია — ავსტრიის მატჩი ჩაიშალა, ორივე მოდავე მხარე მომხდარის საკუთარი ვერსიის გავრცელებას ცდილობს.

ბრაზილიელები კატეგორიულად უარყოფენ თავიანთი ქომაგების უსაქციელობას. როგორც მათი კაპიტანი პაულუ კლეტუ ამტკიცებს, გუნდს იგი 19 წელია, რაც თავკაცობს, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ბრაზილიელი მაყურებლის ხულიგნობა არ ახსოვს. კლეტუს თქმით, ბრაზილია მშვიდობიანი ქვეყანაა და იქ ჩოგბურთის გამო თურმე ჯერაც არავინ მოუკლავთ!

მასვე უკრავს კვერს პორტუგალიელი მსაჯი ანტუნიუ მარკეში, ვინაც დევისის თასის ორგანიზატორებს წარუდგინა პატაკი, სადაც ავსტრიელთა დემარშს უსაფუძვლო უწოდა. სწორედ ამაზეა ნათქვამი, მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო — ბრაზილიისა და პორტუგალიის სისხლისმიერი ნათესაობა ხომ მთელმა მსოფლიომ მშვენივრად უწყის.

ბრაზილია იქეთ ედავება ავსტრიას და კვირის ჩაშლილი თამაშების საკომპენსაციოდ 400 ათას დოლარსა სთხოვს. როგორც მასპინძელთა ფედერაციის მოხელე ლუიშ ნორიეგამ განაცხადა, თავად თომას მუსტერმა (ფოტოზე) დაანიტა კორტს, მერე მსაჯს სკამი შეურყია, მაყურებლებს კი უხამსი ჟესტები შეაგება, რამაც ესენი გაახელა და ერთმა მათგანმაც მოედნისკენ ნაყინის კონუსი მოისროლა.

მუსტერს მხარს უჭერენ თავისიანები, მეტადრე კი პირადი მენეჯერი და ნაკრების კაპიტანი რონალდ ლაითგები. მისი აზრით, მუსტერი ერთობ თამამად მოიქცა, თუმც კი შეგირდს არ ამტყუნებს და რიტორიკულად ამბობს, თუ მსოფლიოს მესამე ჩოგანი იძულებულია კორტიდან გაიქცეს, მაშ მოსეირეები მართალნი ვერ ყოფილანო.

თავად მუსტერი მომხდარის გამო დიდად არ ნაღვლობს. მისი თქმით, ბრაზილიელები ნაღდი პირუტყვები არიან და ოდესმე უნდა დაისაჯონ. თავად იქ ჩასვლას აღარასოდეს აპირებს. საქმე ლონდონში გაირჩევა 7 ოქტომბერს.

წელს პირველად მოხდება, რომ პარიზის ჭერქვეშა პირველობას, 28 ოქტომბერს რომ იწყება, მსოფლიოს მოწინავე 37 ვაჟიდან არავინ გამოაკლდება. ეს ალბათ იმითაც აიხსნება, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 2,5 მილიონი დოლარია.


„სარბიელში"

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90


# კრივი

კრივის მსოფლიო საბჭოს (კბო) მძიმეწონოსანმა ექს-ჩემპიონმა თომი მორისონმა წინა კვირაში განაცხადა, რომ რინგზე ერთი, უკანასკნელი შერკინებისთვის აპირებს დაბრუნებას. მორისონი წელს მოიკვეთა კრივის სამყარომ, რადგანაც შიდსის გამომწვევი ვირუსი აღმოაჩნდა. თომი იმად ბრუნდება, რომ ამ ბრძოლის ჰონორარი შიდსიან ბავშვთა მშველელ ფონდს შეაწიოს. მაგრამ დაზეთ უბედურებას: ძირითადი საკრივო შტატები — ნევადაცა და ნიუ-ჯერზიც დასნებოვნებულთა რინგზე გასვლას სასტიკად კრძალავენ.




# რაგბი

მსოფლიო რაგბში დროება რომ შეიცვალა, ბევრ კარგ ტრადიციას ბოლო ეღება. ერთი მათგანია საერთაშორისო მატჩების უქმეებზე გამართვა.

## ოდეს ტურფა გაიეფდეს

აი, ახლაც, თითქოს ხუთი ერის პირველობის მატჩი არ ყოფნითო, უელსმა და საფრანგეთმა ოთხშაბათ საღამოს, პროჟექტორების შუქზე, კარდიფის „არმზ პარკზე" რიგ-გარეშე თამაში გამართეს. თუმც ორივე მეტოქე სერიოზულად მოეკიდა თამაშს და საუკეთესო შემადგენლობაც გაიყვანა, ფრანგებმა ლამის ბურთაობა მაინც არ გაუტოლეს ხუთი ერისეულს და თავისიანებს კეპები არ მიანიჭეს.

თამაში საფრანგეთმა მოიგო 40:33 (10:27) (4ლ-3ლ). გამარჯვებულთაგან ორი ლელო გაიტანა სტეფან გლასმა (12), თითო — ჟან-ლუკ სადურნიმ (15) და აბდელ ბენაზიმ (8). რიშარ დურთმა (13) ოთხივე ლელო გარდასახა და ოთხი საჯარიმოც შეაგდო. ფრანგებს ტრავმების გამო აკლდნენ შუამარბი თომა კასტენიედი და მორკინალი ოლივიე რუმა.

მასპინძლების ლელოები ბარი ვილიამსის (2), იაიან ევანსის (14) და გარეს თომასის (11) ანგარიშზეა. ნილ ჯენქინსმა (10) გაიტანა სამივე გარდასახვა და ოთხი საჯარიმო. უელსს ტრავმის გამო აკლდა ძირითადი კვაჭი და კაპიტანი ჯონათან ჰამფრიზი. იმდლევანდელი კაპიტანი ნაიჯელ დევისი (12) და ყოფილი კაპიტანი ევანსი საკაცით გაასვენეს. გარდა ამისა, მწვრთნელმა ქევინ ბაურინგმა სათადარიგოებადაც კი არ დასვა სქოთ ქვინელი და სქოთ გიბსი, ლიგის რაგბიდან რომ დაბრუნებულან. ამათ თავად უთხოვიათ, რაგბთან მისაჩვევად მეტი დრო გვჭირდებაო.

მსაჯობდა კანადელი ჯორჯ გაჯოვიჩი. მისი საქციელი ფრანგებს თვალში არ მოუვიდათ და სამართალი თავად განაჩინეს: დურთმა შეაფურთხა ჯენქინსს, ლი დევისს (13) კი მუშტი-კრივი გაუმართა. შუამარბს არც მეორეხაზელი ოლივიე მერლი ჩამორჩა, ვინაც მეტოქის ბურჯ ქრის ლოუდერს ცხვირ-პირი დაუმშვენა.

უელსი კარგა ხანს იგებდა, მაგრამ ფრანგებმა ბოლო 6 წუთში ორი ლელო გაიტანეს: ჯერ ბენაზის იერიშის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა 33:33, მერე კი გლასმა კარამდე 25 მეტრი გაინავარდა.

### პან-ამერიკული პირველობა

ონტარიო (კანადა)

14.IX. ნიპიანი: არგენტინა 29 (11) (3ლ, გ, 4ს) — აშშ 26 (6) (2ლ, 2გ, 4ს); კანადა 24 (18) (2ლ, გ, 4ს) — ურუგვაი 18 (5) (2ლ, გ, ს, ა)

18.IX. ჰამილთონი: არგენტინა 54 (26) (8ლ, 7გ) — ურუგვაი 20 (6) (2ლ, 2გ, 2ს); კანადა 23 (6) (2ლ, 2გ, 3ს) — აშშ 18 (12) (6ს)

21.IX. მარქემი: აშშ 27 (16) (2ლ, გ, 5ს) — ურუგვაი 13 (3) (2ლ, ს); არგენტინა 41 (18) (5ლ, 2გ, 4ს) — კანადა 21 (9) (2ლ, გ, 3ს)

გადამწყვეტი მატჩის ბოლო მეოთხედის წინ კანადა დაეწია არგენტინას 21:21, მაგრამ მერე „პუმებმა" სამი ლელო გაიტანეს და შარშან, შინ მოგებული ტიტული შეინარჩუნეს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 0 | 1 | 124: 67 | 16- 6 | 12 |
| კანადა | 2 | 0 | 1 | 68: 77 | 6- 7 | 8 |
| აშშ | 1 | 0 | 2 | 71: 65 | 4- 7 | 6 |
| ურუგვაი | 0 | 0 | 3 | 51:105 | 6-12 | 1 |

მოგება 4 ქულა ღირდა, ფრე — 2, არანაკლებ 7 ბურთით წაგება — 1

# ველორბოლა

## ბოლო ხვანჯეში

მოახლოვდა ესპანეთის ველოტურ „ვუელტას" ფინიში და ვითარება აშკარად დაიძაბა. [illegible] შეიძლება მოხდეს, რომ აშკარა ფავორიტმა შვეიცარიელმა ალექს ცულემ (ონსე) ვერ გაიმარჯვოს, [illegible] (ლოტუს-ფესტინა) ერთობ [illegible]

ოთხშაბათის XVIII ეტაპზე (ბენასკი — სარაგოსა, 222 კმ) ონსე-ს მრბოლები იდუმალმა ფალარათმა შეაწუხა. მიუხედავად ამისა, გუნდმა მაინც არ დათმო პოზიცია და თავის ჯილებს არაფერი გაუჭირა. როგორც ონსე-ს მენეჯერმა მანოლო საისმა განაცხადა, მისი ბიჭები ჭეშმარიტი პროფესიონალები ყოფილან, რის გამოც ფალარათის ბადალი მცირე პრობლემები (?!) ვერაფერს დააკლებთო. მერე და მერე საისის ერთ-ერთმა შავმა მუშამ — მელჩორ მაურიმ, ვინაც ლიდერს 10 წუთითა და 32 წამით ჩამორჩებოდა და ჯამში IX ადგილზე იყო, ალიარა, სერიოზული გართულება მხოლოდ ერთ ჩვენთაგანს შეეტყო. გუნდს სენის მიზეზის ჩხრეკა არ დაუწყია.

და მაინც, ამ ეტაპზე ონსე შეცდა, მერე კი ერთობ დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა აელაგმა დიუფო, იტალიელი რობერტო პისტორე (მგ-ტექნოჯიმი) და ავსტრიელი გეორგ ტოსჩინგი (პოლტი), რომლებიც ჯამში მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილებზე იყვნენ. სამაგიეროდ, მოწინავე გუნდებიდან თავი არავის შეუწუხებია, როცა 100 კილომეტრის გავლის შემდეგ ოთხი აბეზარი გამოეყო ჯგროს და წინ გაიჭრა.

ამათ საბოლოოდ ხუთ წუთზე მეტით აჯობეს დანარჩენებს. ეტაპი მოიგო რუსმა დმიტრი კონიშევმა (აკი-ჯიპიემე). მან აჯობა დანიელ ბო ჰამბურგერს (ტვმ), ერთ დროს ძლიერ იტალიელ მრბოლ ჯანი ბუნიოს (ტექნოჯიმი) და იტალიელსავე პაოლო ვალოტის (კანტინა). ტურის ლიდერთა ურთიერთგანლაგება არ შეცვლილა.




ხუთშაბათის XIX, სამთო ეტაპისთვის (ხეტაფე — ავილა, 212 კმ) „ლოტუსის" შეფი მიგელ მორენო ონსე-ს დაექადნა, თქვენს ცულეს სერიოზულად გამოვცდითო. მართლაც, დიუფომ მაგრად იმუშავა, ეტაპზე გაიმარჯვა, 55 წამი მოუგო ცულეს და მეორე ადგილზე გადავიდა, რაკი მუხთალმა ავადობამ მაინც დასცა ფრანგი ლორან ჟალაბერი (ონსე), მანამდე რომ იყო მეორე: მან ერთბაშად 20 წუთი დაკარგა.

გამარჯვების მიუხედავად ცოფები ჰყარა მორენომ. იგი მაგრად მისდგა შვეიცარიელ თონი რომინგერს (მაპეი) და ღალატი დააბრალა, აქაო და ონსე-სთან ხარ შეკრულიო. მართლაც, სხვა გუნდებმა ცდა არ დააკლეს, ცულე როგორმე რომ წამოსწეოდა ეტაპის შუაწელიდან ლტოლვილ დიუფოს, თავად დიუფომ კი ფინიშის შემდეგ დაიჩივლა, მართალია, ოთხმა მრბოლმა აიბა მხარი, მაგრამ დროდადრო თავს [illegible] მთლად ეულად ვგრძნობი — სხვები არაფრით მეხმარებოდნენო. დიუფოს დამლაშქველებლნი ყოფილან პისტორე, იტალიელები დანიელე ნარდელო (მაპეი) და ანდრეა პერონი (მოტოროლა) და ესპანელი ხოსემარია ხიმენესი (ბანესტო).

დიუფო გუშინდელი, 209-კილომეტრიანი ეტაპის წინ კვლავ ყინჩად იყო და მორიგ იერიშს გეგმავდა. თუ ვერ გაიმარჯვებდა, მერე და მერე ცულეს დამწევი ველარ იყო, ვინაიდან შაბათის სიჩაუქის გამოცდაში ალექსს ძნელად რომ აჯობოს, კვირის ბოლო ეტაპი კი სწორი რელიეფის გამო უექველად მდორე გამოვა.

19 ეტაპის ჯამი: ცულე 87 საათი, 30 წუთი და 18 წამი; დიუფო ჩამორჩებოდა 4.22-ით; პისტორე 7.10; ტოსჩინგი 8.34; რომინგერი 8.51; ...

XIII ეტაპზე გავარდნილმა მიგელ ინდურაინმა განაცხადა, რომ არ იასპარეზებს მსოფლიო პირველობაზე, ოქტომბრის მეორე კვირაში ლუგანოში (შვეიცარია) რომ გაიმართება. შეჯიბრი ასევე მოისაკლისებს ბრიტანელ ნოვატორ გრემ ობრის, რაკი იგი ვირუსულ ინფექციას დაუჩიავებია.

E-mail

ცნობილი ნოვატორი, ბიზნესმენი, ხელოვნებათმცოდნე, ქველ-მოქმედი, უცხო ხილთა ტრფიალი

**ყაფლან ჯანდიერი**

გუშინ ოპერატიულად შეგვეხმიანა ავსტრალიიდან

# უცხო ხილები

## მსოფლიო სპორტის შორეველი ქომაგის ელექტრო-ბარათები

ვიცი, ყარაჩში გგონივართ, მე კი უკვე ავსტრალიას ჩავედი და იქედან ვიწერები. ჩემმა ძმობილმა სატილ მეპმედმა სად იყო და სადა არა, გაზეთში ამოიკითხა, საქვეყნოდ ცნობილი ტურისტული სააგენტო — „გულივერზ თრეველზი" იშვიათ საბურთაო უიქ-ენდს გვთავაზობსო და ჩვენც კენგურუთა კონტინენტისაკენ გავუტიეთ. იქ ხომ შაბათს, მელბურნში, ავსტრალიური ბურთაობის დიდი ფინალია, კვირას, სიდნეიში კი — ლიგის დიდი ფინალი.

ვიდრე ავსტრალიურ ამბებზე გადავიდოდე პაკისტანურს მოვაყომარებ. დავიწყებ კრიკეტით, რადგან პაკისტანმა და ინდოეთმა „ძმობის თასი" გაითამაშეს და მერე სად? — სადა და კანადაში, ტორონტოს კრიკეტის, ციგურაობისა და ქერლინგის კლუბის მყუდრო მოედანზე.

გაიმართა ხუთი თითოდღიანი თამაში. სამჯერ გაწვიმდა და მატჩი ხვალისთვის გადაიდო. პირველი მატჩი ინდოეთმა მოიგო 8 ბჭით, მეორე პაკისტანმა 45 გარბენით, მესამე — ისევ ინდოეთმა 55 გარბენით, მეოთხე პაკისტანმა — 97 გარბენით, მეხუთე კი კვლავ და კვლავ ჩვენმა პაკისტანმა 52 გარბენით, რისი წყალობითაც სერია 3-2 დასრულდა. საუკეთესო მოთამაშედ სცნეს ინდოელი ანილ კუმბლე, რომელმაც 13 ბჭე მოინადირა, გუნდის მენეჯერი სანდიიპ პატილი კი მოხსნეს. მის მაგივრად დაინიშნა მადან ლალი, 1983 წლის მსოფლიო თასის გამარჯვებული გუნდის წევრი რომ იყო, ბოლო სამი წელი კი არაბთა საამიროებს თავკაცობდა და მსოფლიო თასზეც გაიყვანა.

ახლა ცოტა სქვოშიც, ე.ი. ოთახის ჩოგბურთი. ჰონკონგში წაგებისათვის ავსტრალიელ როდნი აილსთან რევანში აილო ჩვენებურმა ჯანშირ ხანმა. მან წინა პარასკევს, კაიროში, გეზირას ღია პირველობის ფინალი 65 წუთში 15:13, 15:14, 15:6 მოუგო როდნის და კარიერის 74-ე ტიტული მიითვალა. ჯანშირს ეამა ეგვიპტურ ხვატში ასპარეზობა. შემდეგი დიდი შეჯიბრი მსოფლიოს ღია პირველობაა, ჩემი ყარაჩი ნოემბერში რომ უმასპინძლებს.

გოლფი უფუოდ გაგეგონებათ, მით უფრო, თუ აქარის პრეზიდენტი უკვე მის კლუბს გიშენებთ. წინა უქმეებზე ინგლის-უელსის საზღვარზე, ჩეფსთოუში აშშ-ისა და ევროპის დედაკაცთა ნაკრებების მატჩში მესამედ გათამაშდა სოლჰაიმის თასი. მონაწილეობდა 12-12 ქალი. წყვილთა მატჩების შემდეგ ევროპა 9:7 იგებდა, მაგრამ პირისპირ მატჩებში ამერიკელებმა იმარჯვეს, მატჩი 17:11 მოიგეს და თასი შეინარჩუნეს.

კვირას ტოკიოს რიოგუკოს არენაზე იმპერატორის თასი მე-15-ედ მოიპოვა 24 წლის ტაკანოჰანამ, ვინაც ფინალში წარმოშობით ჰავაელი, არანაკლებ ცნობილი იკოძუნა აკებონო დაამარცხა.

ავსტრალიურ ბურთაობაში შაბათს წინასწარი ფინალები გაიმართა. მელბურნის კრიკეტის მოედანზე ჩრდ. მელბურნის კენგურუებმა (ჩემპიონატის მეორე გუნდმა) 114 (17 გოლი, 12 აცდენა) - 76 (11, 10) დაამარცხეს ბრისბენის დათვები (3). თამაშს 66 719 კაცი დაესწრო.

სიდნეის კრიკეტის მოედანი კი პირამდე შეევსო 41 731 მოსეირეს. ბოლო საყვირი რომ გაისმა, ანგარიში საყაიმო იყო, ბურთი კი შუაგულ კვადრატში მასპინძელთა ბომბარდირ თონი ლოქეთს ეჭყრა. ამ არაქათგაცლილ კაცს ტკივილისაგან სახე დამარჭეოდა, მაგრამ წარმოუდგენელ გნიასში ბურთი კარს მაინც უწია, მცირედ ააცილა და თავისს გედებს (რეგულარული სეზონის ჩემპიონებს) 70 (10, 10) - 69 (10, 9) გაამარჯვებინა ესენდონის (მელბურნის უბანია) ბომბდამშენებთან (6).


ტაკანოჰანას წერილფეხობა შეპხარის


აპ-ისა და როიტერს-ის ფოტოები

ძმობის თასზე


თონი ლოქეთმა ბურთი ალალად დაიჭირა. ჰოდა, ახლა კარში ლაღად დაკრავს

ლიგაში ანუ 13-კაცა რაგბში წელს დიდი განხეთქილება იყო. საქმე სასამართლოებში ირჩეოდა. სეზონის დაწყება ერთი პირობა სამი კვირითაც კი გადაიდო. ბოლოს სასამართლოს განჩინებით 20-ვე კლუბი ძალისძალად ჩააბეს არლ-ის პირველობაში.

**ოპტუს-ის თასის პლეი-ოფი**

6-8.IX. მეოთხედფინალი: ქრონალა — დას. უბნები 20:12; კანბერა — სენთ-ჯორჯი 14:16; ბრისბენი — ჩრდ. სიდნეი 16:21; მენლი — სიდნეი-ქალაქი 16:14

14-15.IX. გასარიცხი ნახევარფინალი: ქრონალა — ბრისბენი 22:16; სენთ-ჯორჯი — სიდნეი-ქალაქი 36:16

21-22.IX. ნახევარფინალი: სენთ-ჯორჯი — ჩრდ. სიდნეი 29:12 (37 779 მაყურებელი); მენლი — ქრონალა 24:0 (40 525)

| რაგბის ლიგა-1996 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მენლის ზღვის არწივები | 22 | 18 | 0 | 4 | 549:191 | 36 |
| ბრისბენის ველური ცხენები | 22 | 17 | 0 | 5 | 607:263 | 34 |
| ჩრდ. სიდნეის დათვები | 22 | 15 | 2 | 5 | 598:325 | 32 |
| სიდნეი-ქალაქის მამლები | 22 | 15 | 1 | 6 | 521:321 | 31 |
| ქრონალას ზვიგენები | 22 | 14 | 2 | 6 | 399:268 | 30 |
| კანბერის ყაჩაღები | 22 | 13 | 1 | 8 | 538:384 | 27 |
| სენთ-ჯორჯის ურჩხულები | 22 | 13 | 1 | 8 | 443:360 | 27 |
| დას. უბნის კაჭკაჭები | 22 | 12 | 1 | 9 | 394:434 | 25 |
| ნიუქასლის რაინდები | 22 | 11 | 1 | 10 | 416:388 | 23 |
| სიდნეის ბულდოგები | 22 | 11 | 0 | 11 | 375:378 | 22 |
| ოქლენდის მეომრები | 22 | 11 | 0 | 11 | 412:427 | 22 |
| სიდნეის ვეფხვები | 22 | 11 | 0 | 11 | 319:459 | 22 |
| პარამათას გველთევზები | 22 | 10 | 1 | 11 | 404:415 | 21 |
| ილავარას მეფოლადეები | 22 | 8 | 0 | 14 | 403:444 | 16 |
| პენრითის ფოცხვერები | 22 | 7 | 1 | 14 | 363:464 | 15 |
| პერთის დას. წითლები | 22 | 6 | 1 | 15 | 313:420 | 13 |
| ჩრდ. ქვინზლ. მეჯოგეები | 22 | 6 | 0 | 16 | 288:643 | 12 |
| ოქროს ნაპირის ბედაურები | 22 | 5 | 1 | 16 | 359:521 | 11 |
| სამხრეთ სიდნეის ბაჭიები | 22 | 5 | 1 | 16 | 314:634 | 11 |
| სამხ. ქვინზლ. მნგრეველები | 22 | 4 | 0 | 18 | 220:496 | 8 |

ხვალინდელ ფინალში ფავორიტი „მენლია", თუმც კი დედით სომეხი ახალზელანდიელი მცველი მეთიუ რიჯი ტვინის შერყევის გამო ალბათ არ ეყოლება. მე და მეჰმედა იქაურ „კროკოში" — „ბეთინგ ოსთრეილიაში" მის მოგებაზე ვაპირებთ ფსონის დადებას, ბურთაობაში კი მასპინძელი კენგურუების მოგება მიგვაჩნია უფრო სარწმუნოდ და შესაბამისადაც გავირჯებით.

რა თქმა უნდა, ავსტრალიურ შთაბეჭდილებებს დროით მოვიწერები. ისე კი, მაქაური სპორტის დეპარტამენტისა გამკვირვებია — მსოფლიოში რომ ამდენი კარგი ჭიდილი და თამაშობაა, ახალს არაფერს რატომ არ ნერგავს და ახარებს?!



ყაფლან ჯანდიერი

Qaflan@HuzLiBab.edu.pk


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.

ტელეფონი: 39 48 29